საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 270 (798) | პარასკევი, 24 დეკემბერი, 1993 წელი | ფასი 300 კუპონი

პირველი სვეტი

ცნობები დასავლეთ საქართველოდან

ქუთაისი. როგორც საქინფორმის კორესპონდენტს ქალაქის მერის თანაშემწემ გია სიხარულიძემ აცნობა, პოლიტიკური ვითარება ქუთაისში კვლავ სტაბილურია. დანიშნულება გაამართლა მოსახლეობაში პურის გარანტირებული განაწილების პრაქტიკამ. წისქვილკომბინატის მუშაობაში გარკვეულ სიძნელეებს ქმნის ელექტროენერგიის შეფერხებებით მიწოდება.

ლანჩხუთი. როგორც საქინფორმის კორესპონდენტი იუწყება, ლანჩხუთში უმჯობესდება კრიმინოგენური სიტუაცია. მოსახლეობა იღებს სასმელ წყალს, თუმცა პრობლემად რჩება ფქვილითა და ელექტროენერგიით მომარაგება.

ზუგდიდი. როგორც საქინფორმის კორესპონდენტს გამგებლის მოადგილემ ლერი ქითანავამ აცნობა, რაიონი იღებს ელექტროენერგიას, თუმცა არასაკმარისი რაოდენობით, რაც უმთავრესად ფურნეებსა და ქალაქის ცენტრალურ რაიონებს ჰყოფნის. ნაწილობრივი დატვირთვით ამუშავდა ქალაქის ზოგიერთი სამრეწველო საწარმო.

• • •

კვირეული დაიხურა

ზაქარია ფალიაშვილის უკვდავი ოპერით „დაისი“ საზეიმოდ დაიხურა კომპოზიტორის ხსოვნის ტრადიციული კვირეული. ფალიაშვილის დაბადების 122 და გარდაცვალების 60 წლისთავის აღსანიშნავად გამართული ეს დღეები, რესპუბლიკაში შექმნილი ვითარების მიუხედავად, საკმაოდ შთამბეჭდავად მოეწყო. დღეების პროგრამა, კონცერტ-საღამოებთან და ოპერის თეატრის სპექტაკლებთან ერთად, ითვალისწინებდა თეორიულ კონფერენციებს, რომლებზეც წარმოდგენილი იყო კომპოზიტორის ცხოვრებისა და შემოქმედების ფართო სპექტრი.

• • •

საქართველოს საქმე არ არის?!

როგორც სააგენტო „იბერიასთვის“ გახდა ცნობილი, მოსკოვში ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის რამდენიმე დღის წინათ გამართულ კონსულტაციებზე აფხაზური დელეგაციის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ ლაპარაკი ზედმეტია აფხაზეთის სტატუსზე საქართველოს შემადგენლობაში. აფხაზეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოა და მისი სტატუსი საქართველოს საქმე არ არის. ერთადერთი, რაზეც შეიძლება მსჯელობა, არის მომავალი ხელშეკრულება საქართველოსა და აფხაზეთს, როგორც ორ თანასწორუფლებიან სუბიექტს შორის.

გაიტაცეს ავტომანქანა

„იბერიას“ კორესპონდენტის ცნობით, ხანაპიროზე, ჩოგბურთის კორტებთან მდგარი თბილისის მუნიციპალიტეტის პრემიერის, ბატონ კოტე კაპანაძის ავტომანქანა გაიტაცა სამხედრო ფორმაში ჩაცმულმა უცნობმა შეიარაღებულმა პირმა. მანქანის ადგილსამყოფელი ჯერაც უცნობია.

ამ დღეებში

გვატყობინებენ
„საქართველოს
რესპუბლიკის“
და საქინფორმის
კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

კონსტრუქციული დიალოგის საფუძველზე

23 დეკემბერს ნაშუადღევს თურქმენეთის დედაქალაქში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად ჩავიდა საქართველოს დელეგაცია. დელეგაციის შემადგენლობაში, რომელსაც მეთაურობს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე, იყვნენ რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია, მისი მოადგილე ზურაბ კერვალიშვილი, აგრეთვე წინადღეს იქ ჩასული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჩიკვაიძე და საქართველოს თავდაცვის მინისტრი გიორგი ყარყარაშვილი. დელეგაციის წევრებთან ერთად აშგაბადში ჩავიდნენ აგრეთვე ფინანსთა მინისტრი დავით იაკობიძე, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ნოდარ ჯავახიშვილი, საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარე ვიქტორ ლორთქიფანიძე, „საქგაზის“ დეპარტამენტის უფროსი დავით ელიაშვილი, იუსტიციის მინისტრის მოადგილე ტარიელ კულულაშვილი, რესპუბლიკის მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები.

საქართველოს დელეგაციის წევრები აეროპორტიდან პირდაპირ გაემართნენ მათთვის განკუთვნილ რეზიდენციაში — სასტუმრო „აზიაში“, რომელიც თურქმენეთის დედაქალაქის საპატიო სტუმრებისათვის განკუთვნილი დიდი სასტუმრო კომპლექსის ერთ-ერთი უშესანიშნავესი ნაგებობაა.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების აშგაბადის ახლანდელ შეხვედრას, რომელშიც საქართველო პირველად მონაწილეობს, როგორც მისი სრულუფლებიანი წევრი, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. თურქმენეთის პრეზიდენტმა საფარმურატ ნიაზოვმა სამმიტის წინა დღეს ჟურნალისტებისათვის მიცემულ ინტერვიუში გამოთქვა იმედი, რომ მომავალი შეხვედრა გაალღობს ფორმალობის ყინულს, რომელიც უკვე ორი წელია ხელს უშლის თანამეგობრობაში ნორმალურ ურთიერთობას, მის ბუნებრივ განვითარებას. დრო და მოვლენების ობიექტური მიმდინარეობა თუ ყველაფერს არა, ბევრ რამეს თავის ადგილს მიუჩენს. ვფიქრობ, — თქვა მან, — დღეს დადგა დრო შევიგნოთ, რომ საჭიროა თანამშრომლობა ახალ — ურთიერთპასუხისმგებლურ საწყისებზე ავაგოთ, უარი ვთქვათ სხვის მოიმედეობაზე, ყოველგვარ ეჭვზე და სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობისადმი გამარტივებულ მიდგომაზე. თუ შევეხებით თანამეგობრობის ფუნქციონირების კონკრეტულ მექანიზმს, მას ახლა საფუძვლად უნდა დაედოს მხოლოდ კონსტრუქციული დიალოგი და მრავალმხრივი კონსულტაციები.

იმავე დღეს ედუარდ შევარდნაძე შეხვდა უკრაინის პრეზიდენტს ლეონიდ კრავჩუკსა და ყაზახეთის პრეზიდენტს ნურსულთან ნაზარბაევს. გაიმართა საუბრები, რომლებიც ეხებოდა ამ ქვეყნებთან საქართველოს ორმხრივი ურთიერთობის განვითარება-გაღრმავების მდგომარეობასა და პერსპექტივებს. სახელმწიფოთა მეთაურებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი მთელი რიგი აქტუალური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების თაობაზე.

ჟურნალისტებისათვის მიცემულ მოკლე ინტერვიუებში, როგორც უკრაინის პრეზიდენტი, ისე ყაზახეთის პრეზიდენტი მიესალმნენ თანამეგობრობაში საქართველოს შესვლას. ამასთანავე აღინიშნა, რომ ეს, რა თქმა უნდა, არ არის ყველა უბედურებიდან თავის დაღწევის პანაცეა, მაგრამ მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით შეიძლება ისეთი რთული პრობლემების გადაჭრა, რომლებიც წამოიჭრა იმ სახელმწიფოების წინაშე, რომლებმაც აირჩიეს დამოუკიდებლობა.

გუშინ საღამოსათვის კი დასახული იყო ედუარდ შევარდნაძის საუბრები უზბეკეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის მეთაურებთან ისლამ კარიმოვთან, ლევონ ტერ-პეტროსიანთან და ჰეიდარ ალიევთან.

უმაღლესი დონის შეხვედრების ფარგლებში იმავე დღეს გაიმართა კოლექტიური უშიშროების მონაწილე სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრების, აგრეთვე თანამეგობრობის მთავრობათა მეთაურების ერთობლივი სხდომები მისი საკოორდინაციო-საკონსულტაციო კომიტეტის წევრთა მონაწილეობით.

განიხილეს შეთანხმებათა ბლოკი, რომელმაც საფუძველი უნდა ჩაუყაროს ეკონომიკური კავშირის შენობის მშენებლობა-განმტკიცებას, კერძოდ, შეთანხმებებს საინვესტიციო საქმიანობის დარგში თანამშრომლობის შესახებ და შეთანხმებული ანტიმონოპოლიური პოლიტიკის განხორციელების შესახებ.

დღეს კი აშგაბადში იხსნება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოთა მეთაურების სხდომა. შეხვედრის დღის წესრიგში ცენტრალურ ადგილს დაიკავებს ეკონომიკური კავშირის შექმნის შესახებ ხელშეკრულების რეალიზაციის საკითხები. ნავარაუდევია აგრეთვე, რომ განიხილავენ მთელ რიგ დოკუმენტებს ეკონომიკური ინტეგრაციის თაობაზე. დაგეგმილია მიიღონ დეკლარაცია თანამეგობრობის სახელმწიფოთა ურთიერთობაში თანამშრომლობის განვითარებისა და ნდობის განმტკიცების შესახებ, აგრეთვე კონვენცია იმ პირთა უფლებების უზრუნველყოფის შესახებ, რომლებიც განეკუთვნებიან ეროვნულ ან ეთნიკურ, ენობრივ, კულტურულ და რელიგიურ უმცირესობებს.

კოდორის ხეობაში

სოფელი ლათა — კიდევ ერთი მტკივნეული წერტილი მრავალტანჯული საქართველოს რუკაზე. უხსოვარი დროიდან ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ აქ, აფხაზეთის სვანეთში, როგორც ამ მაღალმთიან რეგიონს უწოდებენ, ქართველები. მთიელთა მშვიდობიანი შრომა არ მოსწონთ აფხაზ სეპარატისტებს, რომლებიც ცდილობენ ძალით გაასახლონ აქედან მოსახლეობა. ხშირად მოდის შემაშფოთებელი ცნობები ლათადან, აჟარადან და სხვა სოფლებიდან საარტილერიო სროლების, სეპარატისტთა და მათი ერთგული თანამზრახველების — კონფედერატების შემოტევების შესახებ.

რამდენიმე დღე აქ იმყოფებოდა საქართველოს საინფორმაციო სააგენტოს კორესპონდენტი გიორგი შარაშენიძე, მისი ფოტოაპარატის ობიექტივმა აღბეჭდა სოფელ ლათას მცხოვრებთა გაჭირვება.

გიორგი შარაშენიძე.

ავტორის ფოტო.



ადგილობრივი თვითმმართველობა

ხალხს იმედი და რწმენა უბრუნდება, ეს კი უკვე გამარჯვებაა

ხობი — კალეიდოსკოპი, შეიძლება ოდესმე ასეც დაახასიათოს მეისტორიემ დღევანდელობა.

ჩვენს თვალწინ იქმნება ანეგდოტები. აი, ერთი მათგანი:

„ქალაქში ზვიადისტები შევიდნენ. შეშინებული მოსახლეობა მიესალმება: — ლოთის ჯარს გაუმარჯოს!

მეორე დღეს ხელისუფლებამ იმძლავრა. გახარებული მოსახლეობა ქუჩაში გამოეფინა: — სამთავრობო ჯარს გაუმარჯოს!

მერე ყველაფერი აირია, ხან ერთი შემოდის, ხან — მეორე. მოქალაქენი საგონებელში ჩავარდნენ, არ შეგვეშალოსო და ფრთხილად იქნევენ ბაირაღებს: — ვინც მოვიდა, გაუმარჯოს!“

ეს ანეგდოტი, უპირველესად ყოვლისა, ობივატელის ბუნებას წარმოაჩენს, მაგრამ იმითაც არის „ფასეული“, რომ ხალხი ჩვეული ენამწარობით აქილიკებს ეს-ეს არის გადაგორებულ უმძიმეს ლოდს.

არადა, მართლაც რამდენჯერმე გადავიდა ხელიდან ხელში ზოგიერთი ქალაქი.

თუნდაც ხობი ავიღოთ.

წელიწადი და თერთმეტი თვეა რაიონის საკრებულოს გამგეობის თავმჯდომარედ მუშაობს თემურ გერგაია და ამ ხნის მანძილზე ვერა და ვერ ეღირსა მშვიდად შრომას, საქმის მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი ვადით დაგეგმვასა და შესრულებას.

თემური 1953 წელს დაიბადა, ხობში. 1977 წელს დაამთავრა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი. მუშაობდა მშენებლად, ადგილმრეწვის კომბინატის დირექტორის მოადგილედ, დირექტორად, დაფნის კომბინატის დირექტორად. 1992 წლის 22 იანვარს სახელმწიფო საბჭომ რაიონის გამგებლად დანიშნა.

რთულ პოლიტიკურ ვითარებაში მოხდა მისი დაწინაურება. მაშინ სახელმწიფო საბჭოს სამხედრო ნაწილები შევიდნენ ხობში. დამხობილი რეჟიმის რაიონული ხელმძღვანელობა დაიფანტა, პრეფექტი შეტაკებაში დაიღუპა. რაიონის საზოგადოებრიობის ერთმა ნაწილმა გამგებლის თანამდებობაზე პოლიტიკურად ნეიტრალური პიროვნებისა და ჩამოყალიბებული სამეურნეო მუშაკის თემურ გერგაიას კანდიდატურა წამოაყენა.

არ შეუშინდა მხრებზე დაწოლილ სიმძიმეს. გუნდი შეარჩია (მაშინ შეკრული ის კოლექტივი, ფაქტობრივად, დღესაც უცვლელია), გარკვეული სამომავლო გეგმები მოხაზა და საქმეს შეუდგა. რას იფიქრებდა, რომ ოთხჯერ მოუწევდა რაიონიდან გახიზვნა და მის პოლიტიკურ საქმიანობას მამა ემსხვერპლებოდა...

1992 წლის 28 მარტი — პრეზიდენტყოფილის მომხრენი იარაღით ხელში პირველად შედიან ხობში, სენაკში, აბაშაში, ზუგდიდში. ერთი კვირით ხელთ იგდებენ მმართველობას. თემურმა და მისმა მუშაკებმა თბილისში გამოასწრეს, შემდეგ სამთავრობო ჯარებთან ერთად დაბრუნდნენ შინ.

1992 წლის 24 ივნისი. თბილისში ექსპრეზიდენტის მომხრენი ტელერადიოკომიტეტის შენობაში შეიჭრნენ. იმავდროულად, ხობი ზვიადისტებმა დაიკავეს. შეიარაღებული 6 კაცი გამგებლის სახლს დაეცა. სად არის შენი შვილი, უნდა მოვკლათო, ავტომატები მოუღერეს 71 წლის, ნაინფარქტალ ყორე გერგაიას. აბუჩად აიგდეს, ფეხში დასჭრეს. მთელს რაიონში ცნობილმა და პატივცემულმა კაცმა, რომელსაც ადრე ავარიაში დაღუპული უფროსი ვაჟის სიმწარეც ვერ მოენელებინა, შეურაცხყოფასა და მუქარას ვერ გაუძლო და გული გაუსკდა. ორი დღის შემდეგ დაბრუნდა სამტრედიაში გახიზნული გამგეობა.

1992 წლის 17 სექტემბრის ღამე. ახალი მძლავრი შემოტევა ხობზე. პოლიციის 40-კაციანი რაზმი ბრძოლაში ჩაება. გამგებელი ორ ათეულამდე თანამებრძოლთან ერთად საკუთარ სახლში გამაგრდა. სენაკის შტაბს დახმარება სთხოვეს, მაგრამ მშველელი არ გამოჩნდა. კავშირი გაწყდა პოლიციელებთანაც. სამი საათის შემდეგ, იმედგადაწურულებმა, ტყე-ტყე დაიხიეს სენაკისკენ. ალყიდან გამოვიდნენ პოლიციელებიც, რომლებსაც ორი კაცი დასჭროდათ. მთელი ათი დღე არ მოხერხდა ხობში დაბრუნება. არადა, მესამე დღესვე შეიძლებოდა ამის გაკეთება. ჩავლილი ამბავია და უნდა ითქვას: უთავბოლობის შედეგიც იყო ეს, რომ ხელისუფლებამ ვერა და ვერ მიიღო სათანადო გადაწყვეტილება. არადა 50-მდე ოჯახს აარიდებდნენ პირწმინდად გაძარცვას. თ. გერგაიას ბინაც ძირის-ძირობამდე გაცალეს. კიდევ კარგი, დედამ მოასწრო ნათესავებთან თავის გარიდება.

შინ დაბრუნებულმა გამგებელმა, რომელიც თვალნათლივ დარწმუნდა, რომ პოლიტიკური მოწინააღმდეგე ჩვეულებრივ ძარცვა-გლეჯას არ თაკილობდა, მოხალისეთაგან 70-კაციანი თავდაცვის ბატალიონი „ცოტნე“ ჩამოაყალიბა. ამ ბატალიონმა წლეულს ოჩამჩირეშიც იბრძოლა: ჯერ, მარტში — მერკულასთან (მაშინ მათ სამეგრელოს რეგიონიდან მხოლოდ ფოთელებმა აუბეს მხარი), შემდეგ კი, ივლისში, — ტამიშთან, დესანტის განადგურების ოპერაციაში, „თბილისელისა“ და „მხედრიონის“ ბიჭებთან ერთად.

ამ რთულ ვითარებაში გამგებელი სამეურნეო სამუშაოებსაც შეძლებისდაგვარად ხელმძღვანელობდა. თითქოს ხვალინდელ დღესაც კარგი პირი უჩანდა, მაგრამ მალე იგრძნო, რომ რაღაც მზაკვრული, საშიში მზადდებოდა.

1993 წლის 28 აგვისტო. თბილისს გამოესწრა, რათა რესპუბლიკის ხელმძღვანელებისთვის თავისი მოსაზრებები გაეზიარებინა. უკვე დედაქალაქში შეიტყო, რომ ზვიადისტებს ხობის ორი სოფელი დაეკავებინათ, სენაკში შესულიყვნენ. უკან გაბრუნდა და... ქუთაისთან ავტოავარიაში მოჰყვა. მძიმედ დაშავებული ჯერ ქუთაისის, შემდეგ თბილისის საავადმყოფოში თვენახევარს იწვა. ამასობაში, დასავლეთ საქართველოში ცნობილი მოვლენები განვითარდა. ხობის გამგეობისა და „ცოტნეს“ წევრებმა მოახერხეს რაიონიდან იარაღიანად გამოსულიყვნენ. როგორც კი წამოდგა, მათ შეუერთდა. ხობელთა ბატალიონი „მხედრიონის“ მხარდამხარ შევიდა ხობში...

კიდევ ერთხელ, ეს უკვე მეოთხედ, შეუდგა გამგებელი გამგებლობას...

ამ დღეებში საშუალება მომეცა შევხვედროდი თემურ გერგაიას. ვფიქრობ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება ჩვენი საუბრისთვის თვალის გადევნება.

— ძალიან დაზიანდა ხობი?

— სენაკისა და ფოთის შემდეგ — ყველაზე მეტად. აღსადგენია 6 სკოლა, 5 საბავშვო სახლი, 40-მდე კომუნალური და კერძო სახლი, 30-მდე სავაჭრო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტი, 6 ადმინისტრაციული შენობა, რაიონული საავადმყოფო, წყალსადენის მთავარი მაგისტრალი. მთლიანად გამოსულია მწყობრიდან ცენტრალური საქვაბე. დანგრეულია ხიდები მდინარე ხობზე, სოფელ შუა ხორგაში და ცენტრალურ ტრასაზე, სოფელ ხეთაში. გატაცებულია 100-მდე კერძო და საზოგადოებრივი ავტომანქანა, 165-კილოვატიანი ელექტროძრავა, მაღალი ძაბვის სარეზერვო კაბელები, 178 კილომეტრი საერთო სიგრძის ელექტროხაზები. გაძარცვულია ყველა სამშენებლო, სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმო. საკონსერვო ქარხნიდან გაიტაცეს 17 ტონა შაქარი და მზა პროდუქცია, დიდძალი პურის ფქვილი, მინა, შიფერი, მარტო კომუნალური მეურნეობის კომბინატმა 65 მილიონი კუპონით იზარალა. საფუძვლიანად არის გაძარცვული რაიონის მოსახლეობა. განსაკუთრებით მეცხოველეობამ დაზარალდა: ღორის სულადობა მთელ რაიონში პირწმინდად განადგურებულია, როგორღაც მოხერხდა მხოლოდ 240 სული მსხვილფეხა რქიანი საქონლის გადარჩენა.

— მსხვერპლი?

— ადგილობრივ მცხოვრებთაგან არავინ დაზიანებულა. მაგრამ სწორედ ხობში მოხდა ცნობილი საშინელი შემთხვევა: ხუთი ტყვედ ჩავარდნილი გვარდიელი და ჟურნალისტი დათო ბოლქვაძე დახვრიტეს ექსპრეზიდენტის მომხრეებმა.

— ექსპრეზიდენტის აქტიურ მხარდამჭერთა შორის ბევრი იყო თქვენი რაიონის მკვიდრი?

— აქტიური მხარდამჭერი — დაახლოებით 30-40 კაცი. როცა ხობში ზ. გამსახურდიამ მიტინგი გამართა, მაშინ მის მხარდასაჭერად ხობელთა გარკვეულმა ნაწილმა იარაღი აისხა. დამარცხების შემდეგ ზოგიერთი მათგანი ტყეში გავიდა. ახლა მათთან მოლაპარაკება წარმოებს. ნურავის გაუკვირდება ექსპრეზიდენტის მომხრეთა სიჭარბე. რაც უფრო უზნეო კაცს უჭირავს იარაღი, მით უფრო საშიშია იგი — მოსახლეობას აშინებს, ძნელია მისი შეგონება. იარაღით კი, უმთავრესად სწორედ ასეთი ადამიანები იყვნენ კბილებამდე აღჭურვილი. კატეგორიულად ვამტკიცებ — აქ მთავარი სულაც არ იყო კუთხურობის ნიშანი. ზუგდიდში — ექსპრეზიდენტის მომხრეთა ცენტრში, თავი მოიყარეს რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონიდან — თბილისიდან, კახეთიდან, ქართლიდან, გურიიდან, იმერეთიდან ჩამოსულებმა. ზუგდიდელთა დანაშაული ის არის, რომ ამას წინ არ აღუდგნენ, უფრო სწორად, ვერ აღუდგნენ.

(დასასრული მე-2 გვ.)

საქართველოს პარლამენტი

კანონები და პრაგმატიზმი

უკვე მესამე სხდომაა პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს თემურ ბასილიას „მისჯილი“ აქვს ტრიბუნაზე დგომა — გრძელდება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო სამსახურების შესახებ კანონპროექტის მუხლობრივი განხილვა.

როდესაც ქვეყანაში ისეთი მდგომარეობაა შექმნილი, როგორიც ამჟამად საქართველოშია, როგორც ჩანს, ყველა კანონის მიღების ფაქტი განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს. ამით არის განპირობებული ის ყურადღება, რომელსაც დეპუტატები ყოველი მუხლის განხილვისას იჩენენ, მაგრამ ზოგიერთი მომენტი მაინც საკვანძოა და ამაზე ყურადღება განსაკუთრებით მახვილდება ხოლმე.

წინა სხდომებზე მიიღეს კანონი, რომ გადასახადებისათვის თავის არიდება მიჩნეულ იქნეს სისხლის სამართლის დანაშაულად. სხვაგვარად რესპუბლიკის ყუამდე დაყვანილი ბიუჯეტის შევსება გადაულახავ პრობლემად გადაიქცევა.

ამ საკითხთან დაკავშირებული მეორე ორგანული საკითხი კი ამ დღეს დადგა დღის წესრიგში საკმაოდ მწვავედ — ვის კომპეტენციაში უნდა შევიდეს გადასახადის გადაუხდელობის ფაქტების მოკვლევის სამსახური — საგადასახადო ინსპექციისა თუ სხვა ოპერატიული სამსახურისა (წამოაყენეს საგადასახადო პოლიციის შემოღების ვერსია, რაც შედარებით იოლად იქნა ბლოკირებული).

— უკეთესია, თუ ამაზე თავიდან ბოლომდე პასუხისმგებელი იქნება ერთი სამსახური, — ამ შემთხვევაში საგადასახადო ინსპექცია, — რათა საქმეების ერთი უწყებიდან მეორესთვის გადაცემ-გადმოცემამ და ამაში დროის გაუმართლებლად კარგვამ საერთო შედეგებზე არ იმოქმედოს უარყოფითად. ასე შეიძლება ვერც ერთმა მოკვლეულმა მასალამ სასამართლომდე ვერ მიაღწიოს და რუტინამ იმძლავროს. — ასეთია თავად თემურ ბასილიას აზრი, რასაც ბევრმა დეპუტატმა დაუჭირა მხარი. თუმცაღა საკითხი დილის სხდომაზე მაინც ღიად დარჩა — კენჭი არ ეყარა.

საღამოს სხდომაზე კანონპროექტის განხილვა გაგრძელდა.

საღამოსათვის კიდევ ერთი საკითხის განხილვა იყო მოსალოდნელი — დღის სინათლის მაქსიმალურად გამოყენებისა და ელექტროენერგიის დაზოგვის შესახებ დადგენილების მიღება.

ამ საკითხს უკვე მეორე წელია დაუზარებლად აყენებს დღის წესრიგში დეპუტატი ზურაბ მურვანიძე და მიუხედავად იმისა, რომ არ ვიცი, მოასწრო თუ არა სესიამ მისი კენჭისყრაზე დაყენება (რადგან გვიან, დღის ბოლოს განხილული საკითხების შესახებ იმავე ნომერში ინფორმაციის მიცემა ტექნიკური მიზეზების გამო ვერ ხერხდება), საკითხის ავტორს განმარტებას ვთხოვე.

— შარშან, როდესაც ეს პრობლემა პირველად დავაყენე პარლამენტის სხდომაზე, იგი დაწვრილებით იყო გამოთვლილი როგორც ბიოლოგიური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. კერძოდ, გამოანგარიშებულია, რომ ერთი წლის მანძილზე ორი საათით დროის გადატანა სამ მილიარდ კილოვატსაათ ელექტროენერგიას ზოგავს. ამის გარდა, ხალხი, რომელიც ახლა სიბნელეში ბრუნდება სამსახურებიდან სახლში, დღის სინათლეზე დაბრუნდება.

— მაგრამ თუ ასტრონომიული დრო საქართველოსთვის სწორედ ის არის, რომელიც ახლა გვაქვს?

— კი, ეს ასეა, ასტრონომების მიერ დაკანონებულ დროსთან შედარებით, რომელიც გრინვიჩიდან აითვლება, რაკილა მესამე მერიდიანზე ვართ, ჩვენთან სამი საათის სხვაობა უნდა იყოს, მაგრამ ძალიან ბევრი რამ, რაც აგრე გვიშლის ხელს ნორმალურად ცხოვრებაში და არსებობაში, ვინმემ დაგვიკანონა განა? ამიტომ ჩვენ ჩვენს მდგომარეობასა და გასაჭირს უნდა ვითვალისწინებდეთ. ის მაინც ვიღონოთ, რის გაკეთებაც თავადვე შეგვიძლია. საქართველოს თითოეულ მოსახლეზე რომ თითო კაპიკი დავზოგოთ, ეს უკვე ხუთი მილიონი კაპიკი იქნება. აქედან გამომდინარე, თითოეული კაპიკი უნდა დავზოგოთ. დაე პლანეტას ჰქონდეს ერთიანი ასტრონომიული დრო, ჩვენ კი ჩვენი ხუთი მილიონი კაპიკი დავზოგოთ.

ასეთია დროით (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით) ნაკარნახევი პრაგმატული მოსაზრებები.

გალინა ხარებაშვილი,
„საქართველოს რესპუბლიკის“ საპარლამენტო კორესპონდენტი.

საქართველო საერთაშორისო საბაჟო ორგანიზაციის წევრია

როგორც ბელგიასა და ევროგაერთიანებაში საქართველოს რესპუბლიკის ელჩმა ზურაბ აბაშიძემ გვაცნობა, 23 დეკემბერს საელჩომ მიიღო ოფიციალური ცნობა იმის შესახებ, რომ საქართველო გახდა საერთაშორისო საბაჟო ორგანიზაციის წევრი.

კარიკატურისტის თვალით



მხატვარი [illegible] ქუცია.

ხალხს იმედი და რწმენა უბრუნდება, ეს კი უკვე გამარჯვებაა

(დასასრული)

არადა, იმ უბედურებას, რაც საქართველოში მოხდა, ბევრი ავტორიტეტული პირიც კი სამეგრელოს აბრალებს. ნაირა გელაშვილმა სატელევიზიო გამოსვლაში თქვა, ამ ხალხმა (ზვიადისტებმა) სამეგრელო სამუდამოდ დამნაშავედ აქციაო. თავი შევიკავოთ ასეთი არასწორი შეფასებისაგან, სამეგრელო იყო, არის და იქნება საქართველოს განუყოფელი ნაწილი.

— სამეგრელოში კი, რამდენადაც ვიცი, ბევრ რამეში „მხედრიონს“ ადანაშაულებენ...

— დიახ, „მხედრიონზე“ ბევრ ძვირს ამბობდნენ, შარშან რეგიონში შემოსვლის შემდეგ, მაგრამ მე არ ვიზიარებ ამას. იმას რატომღა არ ამბობენ, წალენჯიხაში თავს რომ დაესხნენ მძინარეებს და კინაღამ ყველანი ამოხოცეს? არ იყო ეს სამარცხვინო ფაქტი? მეორეც, თვითონ ქობალიას ხალხმა ხელი დააკლო ძარცვა-გლეჯას, თუნდაც ხობში? ამაზე უკვე ზევით გითხარით...

— ითქვა, რომ ქობალიას შეიარაღებულ ფორმირებებში ჩეჩენი, კაზაკი და აფხაზი ბოევიკებიც იბრძოდნენ. თქვენ თუ იცით ასეთი ფაქტები?

— მე ისინი არ მინახავს, მაგრამ მეზობლები დაბეჯითებით მიმტკიცებენ, რომ ჩემს სახლში, თურმე, 4 ჩეჩენი ათევდა ღამეს. ამას გარდა, 2 ჩეჩენი და 2 კაზაკი ბოევიკი მოკლეს სოფელ მენჯთან, იმ შეტაკებაში ბატალიონი „ცოტნეც“ მონაწილეობდა.

— თუ გქონდათ მოლაპარაკება მეამბოხეთა ხელმძღვანელებთან, თუ სცადეთ საქმე შეიარაღებულ კონფლიქტამდე არ მისულიყო?

— ხობზე 1992 წლის სექტემბრის თავდასხმის შემდეგ რამდენჯერმე შევხვდი ლოთი ქობალიას. ვცადე შერიგება, როგორც იტყვიან, ურთიერთობის მოგვარება. მაგრამ რამდენჯერაც შევთანხმდით, იმდენჯერ დაარღვია შეთანხმება. მან ჩემზე უპრინციპო, მიცემული სიტყვის ყადრის უცოდინარი, ადვილად სამართავი კაცის შთაბეჭდილება დატოვა, იოლად რომ ექცევა ვინმეს ზეგავლენაში. შევხვდი ქობალიას „მარჯვენა ხელს“ აკაკი ელიავასაც, როცა ის სენაკში შევიდა. ველაპარაკე, არ მოუტანს თქვენი ეს მოქმედება საქართველოს სიკეთეს-მეთქი, ვთხოვე ხობში არ შემოსულიყო. შემპირდა, არ შემოვალო და მართლაც არ შემოსულა. ისე, დაბნეულ კაცად მეჩვენა. ზოგ სხვასაც შევხვედრივარ.

— დღეს რა მდგომარეობაა რაიონში?

— მთავარია, სიმშვიდე იყოს. მოსახლეობა დაშინებული, უიმედო და დაბნეულია. შეიარაღებული პოლიტიკური ბრძოლა დამთავრდა, მაგრამ ყაჩაღობა მძლავრობს, ორიოდე კვირის წინათ რაიონის პოლიციის უფროსის როინ ალანიას ოჯახს თავს დაესხნენ და მამა მოუკლეს. თავდამსხმელთა ხუთკაციანი ჯგუფი დაიჭირეს, სენაკელები და სოხუმელები არიან. რამდენიმე დღის წინათ კიდევ ერთი ოჯახი ააწიოკეს, არქიტექტორი კაცი იმსხვერპლეს. უამრავი ქურდობა ხდება.

პოლიცია და კომენდანტურა ფეხზე დგანან. კომენდანტად ჩვეულებრივი კაცი დაგვინიშნეს, გამოცდილი მუშაკი, გრიგოლ შონია. 1 ნოემბრიდან 4 დეკემბრამდე ადმინისტრაციული წესით დაპატიმრებულია 16 კაცი. ჩამოვართვით „გრადის“ დანადგარი და მსუბუქი ჯავშნიანი ტექნიკა, 1 დაწყვილებული საზენიტო დანადგარი, 25 ავტომატი, დიდძალი საბრძოლო მასალა, ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარები, საარტილერიო ჭურვები, ვაზნები, ვიცავთ ყველა მნიშვნელოვან ობიექტს.

უკვე მუშაობს ქალაქის პურის ქარხანა და ორი სასოფლო ფურნე. პურის გაცემა ნორმირებულია — 300-300 გრამი. მოსახლეობას დავურიგეთ 4-4 კილოგრამი ფქვილი. თუ ფოთის წისქვილკომბინატიდან შეფერხება არ გვექნა, გამოყოფილი ფონდი 1 იანვრამდე გვეყოფა.

შეზღუდული გრაფიკით ვიღებთ ელექტროენერგიას. კუპონები შემოვიტანეთ და რიგდება ხელფასი, პენსია, ხიზანთა დახმარება.

თანდათან იწყებენ ამოქმედებას საწარმოები. იანვრიდან დავიწყებთ იმ ობიექტების (სამშენებლო, საყოფაცხოვრებო მომსახურების, სავაჭრო) პრივატიზებას, რომლებსაც წლეულს არ უმუშავიათ და მუშა-მოსამსახურენი იძულებით შვებულებაში ჰყავდათ გაშვებული. აქტიურად მიმდინარეობს მიწის პრივატიზაცია, რამდენიმე სოფელში დამთავრდა კიდეც. ამასთან, ჯერჯერობით, შევინარჩუნებთ ზოგიერთ მომგებიან კოლმეურნეობასა და საზოგადოებრივ მეურნეობას.

— მოსავალი თუ მოიწიეთ?

— 7 ათასი ტონა ჩაი უნდა მოგვეკრიფა. ვარაუდი არ გაგვიმართლდა: 3760 ტონამდე ავედით. აქედან 3416 ტონა ქობალიას „ლაშქრობამდე“ მოიკრიფა და გადაგვირჩა. დღეისთვის 700 ტონა მზა ჩაი გვაქვს ადგილზე. დავალებული გვქონდა 90 ტონის გადატვირთვა თურქმენეთში გაზის საფასურად. დავალება შევასრულეთ, დამატებით 40 ტონას კიდევ გავგზავნით. დანარჩენ მზა ნაწარმს კი რაიონის საჭიროებისთვის გამოვიყენებთ. ჩაი ჩვენთვის მთავარი ეკონომიკური ბერკეტია. ამჟამინდელი დაუოკებელი ინფლაციის პირობებში ჩაის გადამამუშავებელ ფაბრიკებსა და მწარმოებელ მეურნეობებს შორის ფასების ცვალებადობა მეურნეობებს გაკოტრებით ემუქრება. ამიტომ წინადადება წამოვაყენეთ, ჩაის ფაბრიკებს შევუნარჩუნოთ 25-30 პროცენტი რენტაბელობის დონე, დანარჩენი კი მწარმოებელს ჩავურიცხოთ.

2600 ჰექტარზე სიმინდი გვეთესა. მოსახლეობასთან ხელშეკრულება გვქონდა დადებული ყოველი ჰექტარიდან თითო ტონა მარცვალი სახელმწიფოსთვის მიეყიდათ, მაგრამ სიმინდის ტეხვის დროს შემოვიდნენ რაიონში ზვიადისტები და მოსავლის ნაწილი დაიკარგა, უდიდესი ნაწილი კი მთლიანად მოსახლეობამ წაიღო. ახლა მოლაპარაკებას ვაწარმოებთ დათქმული რაოდენობა ნებაყოფლობით ჩაგვაბარონ. 1000 ტონა უკვე ჩაგვაბარეს.

თითქმის მთლიანად დაგვეღუპა სოიის მოსავალი. 680 ჰექტარი ნათესიდან მხოლოდ... 15-მდე ტონა თუ შეგროვდება.

ციტრუსების მოკრეფა დავიწყეთ. ჩვენი პროგნოზით საზოგადოებრივი სექტორიდან 280 ტონას ველით, კერძოდან — ოთხასს. მაგრამ მყიდველი არ ჩანს. სოფლის მეურნეობის სამინისტროს კვოტით თითქოს რუსეთსა და ყაზახეთს უნდა წაეღოთ, ჯერჯერობით, არ შეგვეხმაურებიან. არადა, ჩვენი საკონსერვო ქარხნები მზად არ არიან მანდარინის მთელი მოსავლის გადასამუშავებლად. ვეცდებით თვითონ ვიპოვოთ მყიდველი. თუნდაც კანონის გვერდის ავლით, მაგრამ გასაღება უნდა მოვახერხოთ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ მოსახლეობას მოსავლის გატანის ობიექტური მიზეზების გამო, უჭირს და რაიონული დამზადების იმედი აქვს. ბანკებს ვთხოვთ წინდაწინ იზრუნონ ასანაზღაურებელი თანხების შემოტანაზე. შარშან მოსახლეობამ დიდი დაგვიანებით მიიღო კუთვნილი ფული, რამაც მათი გულისწყრომა გამოიწვია. ხალხი ისედაც გაჭირვებულია და ახლა მანდარინის იმედად არიან.

— აფხაზეთიდან დევნილი მრავლად გყავთ რაიონში?

— 13544 კაცი, აქედან 1992 — ქალაქში. ორგანიზებულად ჩასახლებულია 3509 ადამიანი: 18 ბაგა-ბაღში, პროფტექსასწავლებელში, ხეთის სასოფლო საავადმყოფოში, სპორტულ სკოლა-ინტერნატსა და კოლხეთის საბჭოთა მეურნეობაში, ნაყოფიერად მოქმედებს ხიზანთა კომისია სოციალური საკითხების განყოფილების გამგის ლალა თათარაშვილის ხელმძღვანელობით. ამ გაუბედურებული ადამიანებისთვის სახელმწიფოს გამოყოფილი თანხები ძალზე ცოტაა, ამიტომ მათთვის შეიქმნა სპეციალური ფონდი „ცოტნე“. უკვე გავუნაწილეთ გარკვეული თანხა, საზოგადოებრივი მეურნეობებიდან შევუგროვეთ 150 ტონა სიმინდი. თითქმის ყველა სოფელი, შეძლებისდაგვარად ეხმარება მათ.

— ბოლო ორი-სამი თვის მანძილზე დიდმნიშვნელოვანი მოვლენები მოხდა რაიონში. რაიონულ მუშაკთაგან ყველამ ღირსეულად ჩააბარა ეს გამოცდა?

— სამწუხაროდ — არა. ამ პერიოდში ბევრი იჯდა ორ სკამზე. ასეთი ადამიანები სიკეთეს ვერ მოუტანენ საქმეს. ბევრი წარმოების ხელმძღვანელი და სოფლის გამგებელი გამოვცვალეთ, მათ შორის ცოტა როდი იყო თვით ჩემი დანიშნული. ეს პროცესი გრძელდება — ბევრს კიდევ გამოვცვლით. კურსი ავიღეთ გამოცდილებაზე, ადამიანების დარაზმვის უნარზე, პროფესიონალიზმზე; პოლიტიკურ სიმწიფეზე.

ხობში დღეს შესამჩნევი ცვლილებები ხდება. ხალხს თანდათან უბრუნდება იმედი და რწმენა. ეს უკვე გამარჯვების პირველი საფეხურია.

ალეკო ასლანიშვილი.

სარედაქციო ფოსტიდან

ვითხოვ სიტყვას

იდექით მტკიცედ და შეურყევლად!

შადიმან ბარათაშვილის აჩრდილი დადის საქართველოში და მარადიულ ანგარიშზე ჰყიდის სამშობლოს.

მტერი ვერაგი და ძლიერია, სატანასავით ძვრება სულებში და სურს ქართველების სისხლი ქართველების ბაგეებით დალიოს.

სამაჩაბლოსა და აფხაზეთში მომხდარი მოვლენებისა და მიმდინარე პროცესების ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ ეს ყველაფერი იმ პოლიტიკური წრეების გარიგების საგანია, რომლებიც არსებით როლს ასრულებენ საქართველოს წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში, რაც მიზნად ისახავს პირველ ეტაპზე ამიერკავკასიაში შექმნას პლაცდარმი ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის სახით, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, ზღვაზე დამოუკიდებელი გასასვლელით, მომავალში ეგრეთწოდებული მთიელთა რესპუბლიკისთვის, რის გამოც ხორციელდება მთელი ეს მოძრაობა აფხაზეთში (მეორე ეტაპზე იგი გულისხმობს კავკასიის განაწილებასა და ხელახლა გადანაწილებას). ამ პროცესებში, ფაქტობრივად, უგულებელყოფილია საქართველოს სახელმწიფოს ისტორიული ინტერესები. საქართველო პრაქტიკულად დაუცველია. ამას ემატება ზედმეტი თავდაჯერება და დაბნეულობა. ამასთან, საზოგადოება სულ უფრო და უფრო ექცევა კრიმინალური და ეკონომიკური წნეხის ქვეშ.

შექმნილი მდგომარეობიდან შემდეგი გამოსავალი მესახება:

სასწრაფოდ უნდა დაიწყოს საქართველოს რეგულარული-საკადრო არმიის შექმნა, თადარიგის ჯარისკაცებისა და ოფიცრების მწყობრში გადაყვანის გზით;

განისაზღვროს სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი — საქართველოში ამჟამად არსებული ეკონომიკური პოტენციალი საშუალებას იძლევა წარმოებული იქნეს ყველა სახის იარაღი;

დაიწყოს საქართველოს სახელმწიფო თავდაცვითი დოქტრინის ჩამოყალიბება;

შეიქმნას პირობები, რომ რუსეთის არმიაში მყოფი 1700-ზე მეტი ქართველი ოფიცერი დაბრუნდეს საქართველოში;

უნდა გაერთიანდეს საქართველოში მოქმედი სხვადასხვა სპეცდანიშნულების სამსახურები, შეიქმნას ერთიანი საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სისტემა;

რუსეთის არმიის საქართველოს ტერიტორიაზე დარჩენის შემთხვევაში მას უნდა მიენიჭოს ორმაგი დაქვემდებარების სტატუსი და გამოყენებულ იქნეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და სამხედრო ინტერესების დაცვისთვის;

უნდა აღიკვეთოს ანტიეკონომიკური დესტრუქციული ძალების მოქმედება, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია ეკონომიკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრული ლიკვიდაცია და საფინანსო-საკრედიტო სისტემის სრული კრახი.

ამასთან, ეკონომიკის სფეროში არ უნდა დავუშვათ ისეთი რეფორმის განხორციელება, რომელსაც მოსახლეობის სოციალური ჩაგვრა, ეკონომიკური გაღატაკება, ფიზიკური გამოფიტვა და მორალური დაცემა მოჰყვება. კაცობრიობის ისტორიაში დღემდე არსებულ რეფორმათა უმრავლესობას სოციალური შვება, ეკონომიკური აღმავლობა და ფიზიკური განვითარება მოსდევდა, რეფორმა, რომელიც ამ შინაარსს არ შეიცავს, რეაქციული ეკონომიკური გადატრიალებაა, ანტიეროვნული ცდაა დაამყარონ კრიმინალურ სამყაროსთან პირშეკრული ფარული ეკონომიკის ყველაზე ბნელი ძალების დიქტატურა. რეფორმა უნდა ეფუძნებოდეს თითოეული მოქალაქის სოციალურ თანასწორობას, დაცულობასა და აუცილებელ ეკონომიკურ უზრუნველყოფას.

ხალხს მძიმე ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური კატასტროფისგან იხსნის მხოლოდ ერთიანობა, გონიერება და სიმამაცე, რაც სწორი სახელმწიფო სტრატეგიითა და ტაქტიკით უნდა გამოიხატოს.

საოცარი დრო დადგა — ისტორიის უმეცარი მოწაფეები ბრძენი მასწავლებლის როლში გამოდიან. თანამემამულენო, იდექით მტკიცედ და შეურყევლად! სატანა, რომელიც ცეცხლით ემუქრება საქართველოს, ნაცარს დაიყრის თავზე.

გურამ უსტიაშვილი,
საქართველოს პარლამენტის წევრი, დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე.

მარტო სახელი შეიცვალა?

ძვირფასო რედაქცია!

ყველას კარგად გვახსოვს, რომ რუსთაველის პროსპექტზე, იმ შენობაში, სადაც დღეს სახელმწიფოს მეთაურის აპარატი და პარლამენტის სხდომათა დარბაზებია, წლების მანძილზე მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თბილისის ფილიალი იყო მოთავსებული. კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით, რა დონის სამეცნიერო, საკვლევაძიებო სამუშაოებს ატარებდნენ აქ, მაგრამ ეჭვგარეშეა, მაშინდელ, საბჭოთა პერიოდში ეს ინსტიტუტი სოციალიზმის კომუნისტური იდეოლოგიის ერთ-ერთ საყრდენს წარმოადგენდა. იქ თავმოყრილი გახლდათ კომუნისტური პარტიის ისტორიის, სოციალისტური „აღმშენებლობის“ „უტყუარი“ დოკუმენტები, საიდუმლო, საარქივო მასალები. ინსტიტუტში მოღვაწეობდნენ სხვადასხვა თაობის მეცნიერები. საინფორმაციო საშუალებებში ხშირად იბეჭდებოდა მათი ისტორიული, პუბლიცისტური თუ სხვა ხასიათის მასალები, თავის მხრივ, ჩვენი პრესა, ტელევიზია და რადიო ხშირად აანალიზებდა ინსტიტუტის საქმიანობას.

ეს იყო ადრე, ამ ხუთიოდე წლის წინათ...

დღეს, თუ არ ვცდებით, იგი შეცვალა საქართველოს პარლამენტის დემოკრატიული აღმშენებლობისა და პოლიტოლოგიის ეროვნულმა ინსტიტუტმა... როგორც ვხედავთ, სახელი კარგად ჟღერს. შესაძლოა, ინსტიტუტის პრაქტიკულ-თეორიული საქმიანობაც კარგია, მაგრამ ფართო საზოგადოებრიობამ ამის შესახებ რომ არაფერი იცის? მხოლოდ მეტყველი დემოკრატიული სახელწოდება არაფერს გვეუბნება. იქნებ, ინსტიტუტის დირექტორი გამოგვეყვანათ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე, რომ მკითხველს გაეგო, რას აკეთებენ ინსტიტუტში, რა გააკეთეს დღევანდლამდე და რა გეგმები აქვთ მომავალში!..

სხვისა არ ვიცი, მაგრამ, ჩემი აზრით, ეკონომიკური და პოლიტიკური შეჭირვების, ჭეშმარიტი დემოკრატიისათვის იდეოლოგიურ-პროპაგანდისტული ბრძოლის დღევანდელ ურთულეს ეტაპზე ამ ინსტიტუტს მეტი აქტიურობა მართებს.

დავით ქოგულაძე.
თბილისი.

სარედაქციო ფოსტიდან

ყოვლად მიუღებელი და გაუმართლებელია!

გუდაუთა. ვლადისლავ არძინბას

მიუხედავად საქართველოს საზოგადოების, მათ შორის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატისა და პროფესორ-მასწავლებელთა არაერთგზის მოთხოვნისა, დღემდე არ არის განთავისუფლებული ტყვეობიდან თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე პროფესორი ზურაბ პაპასკირი.

ჩვენთვის გაუგებარია საზოგადოებრივი აზრის ასეთი უგულებელყოფა. მიღებული ცნობებით, ზურაბ პაპასკირის ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიტიკულია. ვფიქრობთ, მეცნიერის ბედისადმი ასეთი დამოკიდებულება ყოვლად მიუღებელი და გაუმართლებელია.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები მოვითხოვთ დაუყოვნებლივ გაათავისუფლოთ ტყვეობიდან პროფესორი ზურაბ პაპასკირი.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სახელით რექტორი,
აკადემიკოსი
როინ მეტრეველი.

საქართველოს ენერგეტიკოსები უმოქმედოდ არ არიან

19 დეკემბერს, 24 საათისათვის, გაზის მაგისტრალის უბანზე, რომელიც კვებავს თბილისის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურს, მოხდა დაზიანება, რასაც მოჰყვა სადგურის დროებითი გამორთვა. ეს საქინფორმის კორესპონდენტს თენგიზ ჩხიკვაძეს აცნობა ენერგეტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვაჟა მეტრეველმა.

— ამ დროისათვის, — თქვა მან, — სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურს უკვე ჰქონდა 500 მეგავატზე მეტი სიმძლავრე, რასაც ამ ბოლო ხანს მისმა კოლექტივმა პირველად მიაღწია. ოპერატიულად განხორციელებული ღონისძიებების წყალობით კი სადგური გაზით იკვებებოდა, გაზსადენის სათადარიგო ტოტის მეშვეობით. თავის მხრივ აზერბაიჯანელი კოლეგები — ენერგეტიკოსები მზად იყვნენ საჭირო დახმარება გაეწიათ ჩვენთვის მთლიანად საქართველოს ენერგოსისტემის მუშაობის რეჟიმის დარღვევის თავიდან ასაცილებლად. მაგრამ ეს საჭირო არ გახდა. მობილიზებული იყო რესპუბლიკის ყველა ენერგოობიექტი, რათა დენი უწინარესად ჰქონოდათ ისეთ სტრატეგიულად მნიშვნელოვან ობიექტებს, როგორიც არის ფოთისა და ბათუმის საზღვაო ნავსადგურები, რკინიგზა, მეტროპოლიტენი, საავადმყოფოები, პურის ქარხნები და წისქვილკომბინატები, რომლებიც განლაგებულია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, აგრეთვე დასახლებული პუნქტები.

— ამ ბოლო დროს, — თქვა შემდეგ ვ. მეტრეველმა, — „საქენერგო“ ყოველდღიურად გამოიმუშავებს 20 მილიონ კილოვატსაათზე მეტ ელექტროენერგიას. თბილისისთვის იხარჯება შვიდი მილიონი, აქედან 2,5 — პირველი საჭიროების ობიექტებისთვის. მიუხედავად ამისა, საქართველოს ენერგოსისტემა ელექტროენერგიის მწვავე დეფიციტს განიცდის,

პრობლემა

შექმნილ სიტუაციაში ცალკეულ პირთა ჯგუფების მოქმედების გამო, რომლებიც ძალისმიერ ზეგავლენას ახდენენ ჩვენი ელექტროქვესადგურების, და მათ შორის „თელასის“, ფირმებზე, ენერგოსისტემის მუშაობა ნებისმიერ მომენტში შეიძლება შეწყდეს. ვიმედოვნებთ, რომ შესრულდება რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილება შინაგან საქმეთა სამინისტროს და თავდაცვის სამინისტროს ძალებით ამ ობიექტების დაცვის შესახებ. და მაშინ, ელექტროქვესადგურების მუშაობის რეჟიმის გრაფიკის მკაცრი დაცვის პირობებში საქართველოს ენერგომომარაგება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება.

— დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში საქართველოს შესვლის წყალობით, — აღნიშნა ვაჟა მეტრეველმა, — მიმდინარე წლის დამლევამდე რუსეთი ყოველდღიურად მოგვაწვდის რამდენიმე მილიონ კილოვატსაათ ელექტროენერგიას. ამისთვის უკვე ამოქმედებულია დამატებითი ძალები, რათა აღადგინონ დაზიანებული უბნები „კავკასიონის“ ელექტროგადამცემ ხაზზე, რომლებიც განლაგებულია ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. როგორც ცნობილია, ამ ელექტროგადამცემი ხაზის რამდენიმე საყრდენი დივერსიული აქტებით იყო დაზიანებული. ამ სამუშაოებისთვის რუსეთმა გამოყო რამდენიმე მილიარდი მანეთი. ამასთანავე საქართველომ ენერგომომარაგებაში შექმნილი კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლისათვის რუსეთისგან მიიღო ათ მილიარდ მანეთზე მეტი. ეს თანხა გამოიყოფა თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურისთვის სათბობის შესასყიდად. მისი მაქსიმალური დატვირთვა კი საშუალებას მოგვცემს გაზაფხულის წყალდიდობის დაწყებამდე დავზოგოთ ყველა ჩვენი ჰიდროსადგურის წყლის რესურსები.

რუსეთიდან — სიყვარულით

ათი ათასი საჩუქარი საქართველოს ბავშვებისათვის გამოუყო ქალაქ მოსკოვის მერიამ თბილისის ა. ს. გრიბოედოვის სახელობის დრამატულ თეატრს, სადაც 25 დეკემბრიდან 6 იანვრამდე გაიმართება საახალწლო წარმოდგენები.

— ბავშვებს ახლა განსაკუთრებით უჭირთ, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს თეატრის დირექტორის მოადგილემ ნიკოლოზ სვენტიცკიმ. ისინი მოკლებული არიან მათი ასაკისათვის ჩვეულებრივ გართობებს, დღესასწაულებს. ჰოდა, ჩვენ გადავწყვიტეთ ბავშვებს გავუკეთოთ საახალწლო სიურპრიზი. მაგრამ ეს პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა, რომ არ წაგვხმარებოდნენ რუსეთის საელჩო საქართველოში, რუსეთის კულტურის სამინისტრო, მოსკოვის მერია და, ბოლოს, ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის სარდლობა. თავად განსაჯეთ. მარტო თვითმფრინავით ჰუმანური დახმარების ჩვეულებრივი გზით ჩამოტანა 50 მილიონი მანეთი დაჯდებოდა. ხოლო სამხედროებმა ეს თვითონ იკისრეს. ვფიქრობ, პატარა მაყურებლები ჩვენთან ნამდვილად მხიარულად იქნებიან და დაინტერესებთ ეს ღონისძიება. გარდა იმისა, რომ სპექტაკლები გაიმართება, თეატრის ფოიეში განლაგდება ბავშვთა ნახატების გამოფენა, მოეწყობა წიგნების გამოფენა-გაყიდვა. საბიუჯეტო ორგანიზაციებში დარიგებული ბილეთების ფასი ექვსი ათასი კუპონია.

პრესკონფერენცია მთავრობის სახლში

იმ დახმარებათა შორის, რასაც საქართველო ევროგაერთიანებიდან იღებს, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ე. წ. ტექნიკურ დახმარებას, რომლის მიზანია ჩვენს სახელმწიფოში დემოკრატიზაციის პროცესის ხელშეწყობა, დასავლეთის ქვეყნების ცოდნა-გამოცდილების გაზიარება, ჩვენთან საბაზრო ეკონომიკისათვის აუცილებელი ბაზის შექმნა და რესპუბლიკის ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი დარგების აღორძინება-განვითარება.

ამჟამად ტექნიკური დახმარების 1994-1995 წლების სამოქმედო პროგრამის შედგენის მიზნით, საქართველოში იმყოფება ევროგაერთიანების კომისიის ახალი დამოუკიდებელი ქვეყნების ტექნიკური დახმარების პროგრამის მისია, რომელსაც ბატონი ტერ ჰაარი ხელმძღვანელობს. რესპუბლიკის მთავრობის სახლში მოეწყო პრესკონფერენცია მისიის წარმომადგენლებთან.

აღინიშნა, რომ მისია საქართველოში ყოფნის დროს გამართავს საკონსულტაციო შეხვედრებს სამინისტროებთან და უწყებებთან, რათა ძირითადად დაადგინოს ის პროექტები, რომლებიც დაფინანსდება და შესაბამისად 1994-1995 წლების სამოქმედო პროგრამაში აისახება.

ეკა ლეჟავა.

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

ბინძური გარიგება,

ანუ თვალთმაქცი ამერიკელები და გაცუცურაკებული ქართველები

ეს ამბავი შეიძლება აღარც კი გაგვხსენებოდა, გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში“ დასტამბულ სტატიას (მეიერი — „ამერიკული სტილის გარიგება საგონებელში აგდებს ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკას“, 7 დეკემბერი, 1993 წ.) მასთან ხელმეორედ რომ არ მივებრუნებინეთ. რაც უნდა უცნაურად მოგვეჩვენოს, მდიდარი ამერიკელები და გაღატაკებული ქართველები, თითქოს ერთგვარი ურთიერთმომმარაგებლები გავხდით. ისინი მედიკამენტებით, ხორბლით, სხვა პროდუქტებით გვამარაგებენ, ჩვენ კი მათ ცხელცხელი ქართული სენსაციებით ვუმასპინძლდებით.

რაზეა საუბარი? მკითხველი საქმის კურსში რომ იყოს, ალბათ, აუცილებელია „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული წერილიდან („დაგრძელებული აბონენტის სიმულაცია, ანუ რატომ იჩივლა საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტრომ ამერიკის სასამართლოში?“, 24 ივლისი, 1993 წ.) ზოგი რამ შევახსენოთ:

მცირე შეხსენება

სენსაცია, რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი, ამ ორი წლის წინათ მოხდა. მაშინ ყველას პირზე ეკერა კავშირგაბმულობის ყოფილი მინისტრის ფელიქს ტყებუჩავას სახელი, რომელმაც თურმე სასწაული მოახდინა — თბილისში დაამონტაჟა კოსმოსური კავშირის სისტემა, რომელსაც მსოფლიოში ბადალი არ მოეძებნება. ამ რამდენიმე თვის წინათ კი იმავე კავშირგაბმულობის ახლანდელმა მინისტრმა ფრიდონ ინჯიამ დასახელებული სისტემის გამო ამერიკის სასამართლოში სარჩელი აღძრა.

რა მოხდა?

მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო. ერთ-ერთმა ახალგამომცხვარმა ამერიკულმა ჯუჯა კომპანიამ (როგორც მას „ნიუ-იორკ ტაიმსი“ უწოდებს) „ვიდეოტელმა“ საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტროს კაბალური პირობები მოახვია. უპრეცედენტო ფაქტია, დამოუკიდებელ საქართველოში მას შეუძლია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ისე მართოს კავშირგაბმულობის სისტემა, რომ არავის არაფერი ჰკითხოს.

ეს ჩახლართული საქმე დაიწყო ხელშეკრულების გაფორმებით, რომელიც 1991 წლის 22 მარტით არის დათარიღებული, მას ხელს აწერენ რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მაშინდელი ხელმძღვანელები და კორპორაცია „ვიდეოტელის“ პრეზიდენტი ი. შვარცი. დოკუმენტი გვაუწყებს, რომ მარტის იმ თოვლჭყაპიან დღეს დაიბადა ამერიკა-საქართველოს ერთობლივი საწარმო „ჯორჯიან ინტელკომი“.

თავდაპირველად ამერიკელი პარტნიორები ოცნების კოშკებს გვიგებდნენ, ფაქტობრივად კი საქართველოს ხელში შერჩა არა კოსმოსური კავშირის თანამედროვე სისტემა, არამედ ერთი პრიმიტიული სადგური, რომელიც „დაგრძელებული აბონენტის“ უბადრუკ ვარიანტს ახორციელებს: ვენიდან აღებულია 6 სატელეფონო ნომერი, რომლებიც თანამგზავრული არხის საშუალებით დაგრძელებულია ჩვენს დედაქალაქამდე და როცა ყურმილს ვიღებთ და საზღვარგარეთულ აბონენტს ვუკავშირდებით, თბილისიდან კი არა, ფაქტობრივად ვენიდან ვილაპარაკებით. ჩვენ არა გვაქვს დამოუკიდებელი სადგური, ვენას შეუძლია რა წუთშიც მოისურვებს, გაგვთიშოს.

თანაც, რა ჯდება ეს დალაპარაკება? — ძალიან ძვირი. იმდენად ძვირი, რომ საზღვარგარეთელ ბიზნესმენებსა და კომერსანტებსაც კი ეძნელებათ მისი გადახდა. და ამ თანხიდან რესპუბლიკას ყულაბაში კაპიკიც არ რჩება, იგი მთლიანად ამერიკულ მხარეს მიაქვს.

ესეც არ იკმარეს და იმის მაგივრად, რომ აქეთ რაიმე სარგებლობა მოგვცეს, იქით გვიდგენს ხარჯებს გადასახდელად. „ვიდეოტელმა“ ქართულ მხარეს ასანაზღაურებლად წარმოუდგინა ერთხელ 1.950 ათასი დოლარი და მეორედ 672.094 დოლარი. ამ ხარჯებს არ ახლავს პირველადი დამადასტურებელი დოკუმენტები.

და განა მარტო ეს? მხარეების გარიგება უამრავ სადავო საკითხს მოიცავს: ხელშეკრულება დისკრიმინაციული ხასიათისაა და ხელჰყოფს საქართველოს რესპუბლიკის ინტერესებს. კაბალურია ხელშეკრულების პირობა: მოგების 80 პროცენტი რჩება ამერიკულ მხარეს, ხოლო 20 პროცენტი — საქართველოს. ერთობლივი საწარმოს დირექტორთა საბჭოში არჩეულია 5 ამერიკელი და 2 ქართველი. ეს მათ შესაძლებლობას აძლევს ნებისმიერი საკითხი თავიანთ სასარგებლოდ გადაწყვიტონ. საწარმოს მთელ საქმიანობაზე მონოპოლია დაამყარონ.

პარტნიორთა პორტრეტები

და თურმე ვის ჩავაბარეთ მონოპოლია, არ იკითხავთ? როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსი“ წერს, „ვიდეოტელის“ მფლობელები — ისა, ისა და იოსებ შვარცი, არც მთლად ჩვეულებრივი ადამიანები არიან. როგორც სამინისტროში განგვიმარტეს, იგი არც მწარმოებელ და არც ოპერატიულ ფირმათა ნუსხას არ განეკუთვნება.. ეს არის, ასე ვთქვათ, საოჯახო ფირმა, რომელიც მოგებისათვის მუშაობს და საშუამავლო ოპერაციებს ასრულებს.

63 წლის ბატონი ისა, შარშან პენსიაზე გასვლამდე, თურმე 18 წელიწადს ნასაუს რეგიონული ტოტალიზატორების კორპორაციას ხელმძღვანელობდა. იგი (სპეციალობით იურისტი) სტაჟიანი რესპუბლიკელი ლიდერია ქალაქ ვესტ ჰემპსტედში და ამავე დროს სენატორ დ'ამატოს ძველი მეგობარია (ამ უკანასკნელის ძმას მაფიასთან კავშირისათვის ახლახან 15 წლის პატიმრობა მიესაჯა).

კომპიუტერების კონსულტანტი ბატონი შვარცი ისას შეხვდა 70-იანი წლების ბოლოს, როცა ის ტოტალიზატორების საგადასაცემო ქსელის განვითარებაზე მუშაობდა. „ვიდეოტელის“ არც ერთი მეპატრონისთვის სკანდალური სიტუაციები უცხო არ არის. ოფიციალური ჩანაწერები ადასტურებენ, რომ შვარცი სამჯერ იყო მსჯავრდებული — მას ბრალად ედებოდა 300 ათას დოლარზე მეტი ღირებულების საგადასახადო ბარათების გაყალბება.

„ვიდეოტელთან“ და მის ერთობლივ საწარმოსთან სადავო საკითხები აქვთ ავსტრიისა და რუსეთის სატელიტური კავშირგაბმულობის კომპანიას, რომლის მეშვეობითაც გადაიცემა „ჯორჯიან ინტელკომის“ სატელეფონო საუბრები.

საქმე სასამართლომდე მივიდა

აი, ვინ აღმოჩნდნენ ჩვენი პარტნიორები. როგორ შეიძლებოდა ამ საქმის მოგვარება? რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა გამოსავალი ის ნახა, რომ 1993 წლის 25 ივნისის დადგენილებით ერთობლივ საწარმოს „ჯორჯიან ინტელკომს“ ჩამოართვა 1991 წლის 22 მარტს მიცემული ექსკლუზიური უფლებები. კავშირგაბმულობის სამინისტროს დაევალა პარტნიორთან ერთად მოამზადოს საბუთები „ჯორჯიან ინტელკომის“ რეგისტრაციისათვის, სადაც გათვალისწინებული იქნება რესპუბლიკის იუსტიციის, ეკონომიკის, ფინანსთა სამინისტროების დასკვნები, აგრეთვე კონტროლის პალატის პრეზიდიუმის დადგენილებაში მოცემული შენიშვნები.

ამასთან, როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსი“ იუწყება, საქართველოს მხარემ აღძრა სარჩელი „ვიდეოტელის“ წინააღმდეგ ჰემპსტედის ფედერალურ სასამართლოში და დაადანაშაულა იგი თაღლითობაში, შეუფერებელი მოწყობილობების ჩამოტანაში, საწარმოს კუთვნილი ათასობით დოლარის საკუთარ ანგარიშზე გადაქაჩვაში, სატელეფონო ხარჯებზე ყადაღის დადებაში.

სკანდალებში ნაწრთობი „ვიდეოტელი“ უკან რას დაიხევდა. მან აქეთ შემოგვიტია (გაღმა შეედავე, გამოღმა შეგრჩებაო!) და თავის მხრივ საქართველოს წინააღმდეგ აღძრა სარჩელი. მან ასევე უჩივლა საქართველოს მთავრობის მოსარჩლე ერთ-ერთ ამერიკელ იურისტს, რომელმაც თითქოს ჩირქი მოსცხო „ვიდეოტელს“, აგრეთვე გერმანიის სატელეფონო კომპანიებს — საქართველოში „ვიდეოტელის“ ბიზნესის მოპარვას ცდილობდნენო. ეს საქმე გერმანიაში „ვიდეოტელის“ საწინააღმდეგოდ გადაწყდა და მას სასამართლო ხარჯების გადახდაც დაეკისრა.

სხვათა შორის, „ვიდეოტელმა“ საქართველოს საარბიტრაჟო სასამართლოში ჩვენი რესპუბლიკის კონტროლის პალატასაც უჩივლა — მან თავის უფლებამოსილებას გადააჭარბაო. მას შეეძლო საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შემოწმება, მაგრამ ორგანიზაციულ-სამართლებრივი, ერთობლივი საწარმოს დამფუძნებელი დოკუმენტების კანონიერების გადასინჯვა, არავითარ შემთხვევაშიო. არ გამოუვიდათ, საარბიტრაჟო სასამართლომ მართებულად სცნო კონტროლის პალატის საქმიანობის შედეგები. „ვიდეოტელს“ აქაც კოვზი ნაცარში ჩაუვარდა.

„თვალთმაქცი პარტნიორი“ მაინც არ გატყდა. რესპუბლიკის საარბიტრაჟო სასამართლოს პრეზიდიუმში კონტროლის პალატის მიმართ ხელახალი სარჩელი აღძრა. ამასთან, სახელმწიფოს მეთაურთან არსებული საგანგებო ვითარების კომიტეტსაც მოუსინჯა კბილი. თითქოს გამოუვიდა, ამ უკანასკნელმა მიზანშეწონილად ჩათვალა კავშირგაბმულობის სამინისტრომ მოამზადოს დოკუმენტები „ჯორჯიან ინტელკომის“ მუშაობის აღდგენისათვის.

მაგრამ თვით სამინისტრო აღმოჩნდა პრინციპული და შეუვალი. სამინისტროს საგანგებო კოლეგიის სხდომაზე არაორაზროვნად ითქვა: ჩვენ ველარ გავიმეორებთ ყოფილი ხელმძღვანელობის დანაშაულებრივ შეცდომას, „ვიდეოტელს“ კაბალის ყურმოჭრილი ყმები ველარასოდეს გავხდებით.

ვინ მოიგებს?

ეს აზრი ურყევად გაიმეორა რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მინისტრმა ფრიდონ ინჯიამ, რომელსაც ამ დღეებში შევხვდი.

— უკან დასახევი გზა მოჭრილია, მითხრა მან, — ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ სასამართლო ამერიკაშიც (ახლა წინასწარი გამოძიება მიმდინარეობს) მოვიგოთ. მაგრამ აქ მთავარი უფრო სხვაა. საქართველოს მთავრობამ თავისი დადგენილებით „ვიდეოტელს“ გაუუქმა ექსკლუზიური უფლებები, მოსთხოვა თავიდან გაევლო რეგისტრაცია და ჩვენს სამინისტროსთან კანონმდებლობით დაცული ურთიერთობა დაემყარებინა. მან ეს არ გააკეთა, რითაც საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედების ლიცენზია დაკარგა. ამის თაობაზე ჩვენმა სამინისტრომ აცნობა საერთაშორისო თანამგზავრული კავშირგაბმულობის ორგანიზაციას „იუტელსატს“, რომელმაც მას არხები გამოურთო. ასე რომ, „ვიდეოტელი“ ჩვენთვის ფაქტობრივად აღარ არსებობს.

და მართლაც, „საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის შენობასთან, როგორც ხატოვნად აღწერს „ნიუ-იორკ ტაიმსი“, პატარა მდელოზე დარჩა კავშირგაბმულობის ჯართად ქცეული მოწყობილობები“.

ამის მიუხედავად, ოკეანესგაღმელი პარტნიორები, რომლებიც უარყოფენ ყველა დარღვევას და საკუთარ პრობლემებს საქართველოში შექმნილ არასტაბილურ სიტუაციას აბრალებენ, სულაც არ აპირებენ დანებებას, კომპანიამ, რომლის ერთ-ერთი თანამფლობელია რესპუბლიკელ სენატორ ალფონსო დ' ამატოს პოლიტიკურ წრეებთან დაახლოებული პირი, ხოლო მეორე — კაცი კრიმინალური წარსულით, წამოიწყო კონტრშეტევა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ადვოკატთა მთელი წყება თავდაცვის უწყების ყოფილი შეფის კასპარ უაინბერგერისა და პრეზიდენტ კლინტონის მრჩევლის ჰაროლდ იკესის ხელმძღვანელობით.

ალბათ, ყოველივე ეს არ მოხდებოდა, რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მაშინდელ ხელმძღვანელობას გულუბრყვილობა რომ არ გამოეჩინა და ამერიკელ „პარტნიორებთან“ კაბალური კონტრაქტისთვის ხელი არ მოეწერა. მაგრამ, როგორც ადრინდელ წერილშიც აღვნიშნავდით, ალბათ, გულუბრყვილობად ჩაგვეთვლებოდა, ქართული მხარის მოქმედება მხოლოდ გულუბრყვილობით აგვეხსნა. ნუთუ ვინმეს ჰგონია, რომ ისინი მართლაც გააცუცურაკეს?

„ეს არის ან უვიცობა, დიდი უვიცობა, ან კიდევ რაღაც სიბინძურე“, — თქვა ედუარდ შევარდნაძემ თავის ერთ-ერთ ინტერვიუში.

ბატონმა შვარცმა უარყო ეს მოსაზრება და აღნიშნა, რომ საქართველოს ოფიციალურმა ხელისუფლებამ გარიგება იმიტომ ჩაშალა, რომ „ვიდეოტელის“ წარმომადგენლებმა ისინი არ მოქრთამეს. მან ისიც თქვა, რომ „ვიდეოტელმა“ ჩამოიტანა ერთი მილიონ დოლარად შეფასებული მოწყობილობები, მაგრამ საქართველოს ხელმძღვანელობამ მასზე უარი განაცხადა.

— არ გვინდა მათი არაფერი, — მითხრა მინისტრის პირველმა მოადგილემ ნოდარ ხარატიშვილმა, — ოღონდ თავი დაგვანებონ და ყველაფერს თავად მოვუვლით. უკვე გავაფორმეთ კონტრაქტი მსოფლიოში ცნობილ გერმანულ ფირმა „სიმენსთან“. 28 ოქტომბერს კი მსოფლიო ბანკის მიერ რეკომენდებულმა ინგლისურმა კომპანიამ „ვეინჰაუზ ენდ კომპანიმ“ ჩვენთან გამართა კონკურსი (ტენდერი), რომელშიც არაერთი უცხოური ფირმა მონაწილეობდა. გაიმარჯვა ავსტრალიურმა „ტელსტრამ“, რომელთან ერთადაც შევქმენით სოოპერატორო კომპანია „ჯეიკომი“. იგი მოახდენს საერთაშორისო და საქალაქთაშორისო კავშირების ოპერირებას, რაც შეეხება თვით საერთაშორისო კავშირებს, ამას „სიმენსი“ შეასრულებს.

— კიდევ ხომ არაფერში შეეცდით?

— არა. ტენდერი ყველა საერთაშორისო წესისა და ნორმის დაცვით ჩატარდა, რომელშიც მსოფლიო ბანკის მიერ რეკომენდებული იურიდიული ფირმები და საქართველოს მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ასე რომ, ადრინდელი შეცდომები გამორიცხულია.

ღმერთმა ჰქნას.

ოთარ ხუციშვილი

საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს მოქალაქეთა კავშირის

დებულება

1. ზოგადი დებულებები

1.1. საქართველოს მოქალაქეთა კავშირი (შემდგომში „კავშირი") წარმოადგენს დემოკრატიის პრინციპებზე დამყარებულ პოლიტიკურ გაერთიანებას.

1.2. კავშირი არის იურიდიული პირი, შეიძლება ჰქონდეს განკერძოებული ქონება, დამოუკიდებელი ბალანსი, საანგარიშსწორებო, სავალუტო და სხვა ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში, მრგვალი ბეჭედი, შტამპი და სხვა ატრიბუტები.

კავშირს აქვს საკუთარი სიმბოლიკა, რომელსაც კავშირის სათათბირო ამტკიცებს.

1.3. კავშირი უფლებამოსილია განახორციელოს თავისი უფლებები და მოვალეობები, იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში, საარბიტრაჟო და სამედიატრო სასამართლოში.

კავშირის ფუნქციონირების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა და წინამდებარე დებულება.

1.4. კავშირის დაფუძნება ხდება კავშირის დამფუძნებელ კრებაზე.

1.5. კავშირი მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე; კავშირის შტაბსადგომი მდებარეობს თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზ. 182, მუშთაიდის ბაღი, მწვანე სახლი.

2. კავშირის მიზნები და ამოცანები

2.1. კავშირი ხელს შეუწყობს საქართველოში ისეთი ძლიერი ხელისუფლების ჩამოყალიბებას, რომელიც უზრუნველყოფს:

— საქართველოს რეალური დამოუკიდებლობის მიღწევას;

— სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის უსწრაფეს აღდგენას;

— საზოგადოების კონსოლიდაციას;

— ეკონომიკური კრიზისის დაძლევას, საბაზრო ურთიერთობის, თავისუფალი მეწარმეობისა და კერძო ინიციატივის საფუძველზე ეროვნული ეკონომიკის რეფორმას;

— წესრიგის დამყარებას, მოქალაქეთა სიცოცხლის, ქონების, ღირსების, პიროვნული თავისუფლებისა და უფლებების დაცვას;

— დემოკრატიული ინსტიტუტების, მყარი სახელმწიფოებრივი სისტემის, ძალაუფლების ქმედითი სტრუქტურების ჩამოყალიბებას;

— ეროვნული უშიშროების ეფექტიანი სისტემის შექმნას, ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების გათვალისწინებით რეალისტური საგარეო პოლიტიკის განხორციელებას;

— კულტურისა და მეცნიერების გადარჩენასა და განვითარებას, ახალგაზრდობისათვის ფართო პერსპექტივებს, მეწარმეთა ფენის ჩამოყალიბებას, მუშებისა და გლეხებისათვის თავისუფალი შრომის პირობების შექმნას, ბუნების დაცვას და მოსახლეობის ეკოლოგიურ უსაფრთხოებას.

3. კავშირის წევრობა

3.1. კავშირის წევრი შეიძლება გახდეს საქართველოს და უცხოეთის სახელმწიფოთა ნებისმიერი მოქალაქე, ასევე მოქალაქეობის არმქონე პირი, 18 წლის ასაკიდან, რომელიც იზიარებს კავშირის მიზნებსა და მის წესდებას.

კავშირის წევრობას ადასტურებს საქართველოს მოქალაქეთა კავშირის წევრის მოწმობა.

3.2. კავშირის წევრად მიღება ხდება ცენტრალური ან რეგიონული ორგანიზაციების ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, პირადი განცხადების საფუძველზე.

3.3. კავშირიდან გასვლა ხდება პირადი განცხადების საფუძველზე.

3.4. კავშირიდან გარიცხვა ხდება გამგეობის მოტივირებული გადაწყვეტილებით, რომელიც შეიძლება გასაჩივრდეს სათათბიროს სხდომაზე.

4. კავშირის ორგანიზაციული სტრუქტურა

4.1. კავშირის უმაღლესი ორგანოა კავშირის ყრილობა, რომელიც მოიწვევა არანაკლებ 2 წელიწადში ერთხელ.

4.2. კავშირის ყრილობა წყვეტს კავშირის საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს. კავშირის ყრილობის განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება:

— კავშირის წესდების დამტკიცება და მასში ცვლილებების შეტანა;

— კავშირის საპროგრამო დოკუმენტების მიღება;

— კავშირის თავმჯდომარის და თავმჯდომარის მოადგილეების არჩევა;

— კავშირის გენერალური მდივნის არჩევა;

— კავშირის სათათბიროს არჩევა;

— კავშირის თავმჯდომარის და სათათბიროს ანგარიშის დამტკიცება;

— კავშირის გენერალური მდივნის ანგარიშის დამტკიცება;

— კავშირის სარევიზიო კომისიის არჩევა;

— კავშირის სარევიზიო კომისიის ანგარიშის დამტკიცება;

— კავშირის ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

4.3. რიგგარეშე ყრილობას იწვევს კავშირის თავმჯდომარე, კავშირის სათათბირო მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ან კავშირის წევრთა ერთი მესამედის მოთხოვნით.

4.4. კავშირის ყრილობებს შორის პერიოდში კავშირის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს კავშირის სათათბირო. კავშირის სათათბიროს სხდომებს თავმჯდომარეობს კავშირის თავმჯდომარე.

კავშირის სათათბირო:

— თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს საპროგრამო დოკუმენტებს, მიმართვებს, დეკლარაციებს და პროპაგანდას უწევს მათ საზოგადოებაში.

— ამტკიცებს კავშირის გენერალური მდივნის მიერ წარმოდგენილი მდივნების კანდიდატურებსა და ცენტრალური აპარატის სტრუქტურას;

— ამტკიცებს კავშირის გენერალური მდივნის მიერ წარმოდგენილ კავშირის ბიუჯეტს;

— იწვევს კავშირის ყრილობას;

— აჩერებს რეგიონალური ორგანიზაციის უფლებამოსილებას გამგეობის წარდგინებით;

ყრილობაზე არჩეულ სათათბიროს წევრებს ემატებათ რეგიონალური ორგანიზაციებისაგან დელეგირებული წევრები.

კავშირის სათათბიროს სხდომა იმართება თვეში ერთხელ მაინც.

4.5. კავშირის საქმიანობას ხელმძღვანელობს კავშირის თავმჯდომარე.

კავშირის თავმჯდომარე:

— მინდობილობის გარეშე წარმოადგენს კავშირს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ;

— ხელს აწერს კავშირის ყრილობისა და კავშირის სათათბიროს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს;

— ხელმძღვანელობს კავშირის გამგეობას;

— აუცილებლობის შემთხვევაში კავშირის გამგეობასთან შეთანხმებით აჩერებს რეგიონული ორგანიზაციების საქმიანობას სათათბიროს უახლოეს სხდომამდე ან შეაქვს შესაბამისი საკადრო ცვლილებები;

— იწვევს კავშირის ყრილობას და სათათბიროს სხდომებს;

— აუცილებლობის შემთხვევაში თავისი უფლებების ნაწილს გადასცემს კავშირის თავმჯდომარის მოადგილეებს, კავშირის გენერალურ მდივანს.

4.6. კავშირის თავმჯდომარის მოადგილეები:

— კავშირის თავმჯდომარესთან ერთად ასრულებენ უმაღლეს წარმომადგენლობით ფუნქციას;

— კურირებენ კავშირის საქმიანობის ცალკეულ მიმართულებებს გამგეობის მუშაობაში მონაწილეობის მეშვეობით.

— სარგებლობენ საკონტროლო უფლებით კავშირის საქმიანობის ყველა სფეროში.

4.7. თავმჯდომარე, მოადგილეები და გენერალური მდივანი ქმნიან კავშირის გამგეობას.

4.8. კავშირის გამგეობა:

— განსაზღვრავს ყრილობაზე წარმომადგენლობის წესს;

— გენერალური მდივნის წარდგინებით ამტკიცებს რეგიონული ორგანიზაციის დამფუძნებელი კრების შედეგებს და აძლევს უფლებას რეგიონულ ორგანიზაციებს, გაიარონ რეგისტრაცია კანონმდებლობის შესაბამისად;

— იღებს ოპერატიულ გადაწყვეტილებებს სათათბიროს სხდომებს შორის.

4.9. კავშირის გენერალური მდივანი:

— ხელმძღვანელობს კავშირის მიმდინარე საქმიანობას;

— ხელმძღვანელობს კავშირის აპარატს;

— კოორდინირებას უწევს რეგიონული ორგანიზაციების საქმიანობას;

— ასრულებს წარმომადგენლობით ფუნქციას.

4.10. რეგიონული ორგანიზაციის ჩამოყალიბება ხდება რეგიონული ორგანიზაციის დამფუძნებელ კრებაზე კავშირის გამგეობის შესაბამისი გადაწყვეტილების შემდეგ.

4.11. დასაშვებია კავშირის ადგილობრივი ორგანიზაციების ჩამოყალიბება სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, იმ შემთხვევების გარდა, რომლებსაც კრძალავს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა. გადაწყვეტილებას ამის შესახებ იღებს კავშირის გამგეობა ან რეგიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანო.

4.12. დასაშვებია კავშირის ორგანიზაციებისა და მხარდამჭერი ჯგუფების შექმნა უცხოეთის სახელმწიფოებში, ამ სახელმწიფოთა კანონმდებლობის გათვალისწინებით. გადაწყვეტილებას ამის შესახებ იღებს კავშირის გამგეობა.

4.13. კავშირის ხელმძღვანელი ორგანოების საქმიანობის რევიზია ხდება კავშირის სარევიზიო კომისიის მიერ, რომელსაც 7 კაცის რაოდენობით 2 წლის ვადით ირჩევს კავშირის ყრილობა.

5. კავშირის დაფინანსების წყაროები

5.1. კავშირი ეწევა ფინანსურ და სამეურნეო საქმიანობას პოლიტიკური ორგანიზაციებისათვის საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დაშვებულ ფარგლებში.

კავშირის დაფინანსების წყაროებს წარმოადგენს:

— საკუთარი საქმიანობით მიღებული შემოსავალი;

— ინდივიდუალურ და იურიდიულ პირთა შემოწირულობანი;

— წევრთა ნებაყოფლობითი გადასახადი.

6. კავშირის ლიკვიდაციის წესი

6.1. კავშირის რეორგანიზაცია, საქმიანობის შეწყვეტა და ლიკვიდაცია შესაძლებელია მოხდეს კავშირის საგანგებო ყრილობაზე, საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. კავშირის მემკვიდრეობის საკითხებს წყვეტს ყრილობის მიერ არჩეული სალიკვიდაციო კომისია.

როგორ ვუშველოთ საქართველოს

ჩვენი სიცოცხლის გარანტი

საქართველოში გარემოს დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფტუალური საფუძვლები

დღეს საქართველოში უმძიმესი მდგომარეობაა. ამიტომ არსებულ პირობებში წინა პლანზე დგება სამეურნეო ცხოვრების რეანიმაციისა და ალორძინების ამოცანა. ჩვენ ჯერჯერობით ერთადერთი სწორი — დემოკრატიისა და საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრების გზა ავირჩიეთ, მაგრამ როგორც მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, ეს საკმარისი არ არის. დამოუკიდებელი განვითარების ამ გზაზე მხოლოდ ერთეულმა ქვეყნებმა მიაღწიეს წარმატებას და ჩვენც მარცხი მოგველის, თუ სწორად არ განვსაზღვრავთ ჩვენი განვითარების სტრატეგიას.

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში აშკარად გამოიკვეთა ბუნებრივი რესურსების გამოლევისა და გაჭუჭყიანების გლობალური ხასიათი. რესურსების გამოყენება უახლოვდება შესაძლებლობის ზღვარს. ამჟამად მსოფლიოში გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის ვარგისი მიწების 70, ტყის ნამატის 50, სარეწაო თევზის ნამატის 70, წყლის რესურსების 10 პროცენტი, იწურება სასარგებლო წიაღისეულის მარაგები. მიწების არასწორი ექსპლუატაციისა და ინტენსიური ქიმიზაციის შედეგად ეროზირებული და დეგრადირებულია ნიადაგების 25 პროცენტი. — ყოველწლიურად 60 მილიონი ჰა სავარგული, უდაბნოდ იქცევა.

ამას ემატება წყლის კრიზისიც. გაეროს მონაცემებით, დღეისთვის მსოფლიო მოსახლეობის 40 პროცენტი განიცდის სასმელი წყლის დეფიციტს. 2 მილიარდი ადამიანი დაავადებულია იმ სენით, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული უხარისხო წყალთან. ეკოლოგიური პრობლემები უკვე დიდი ხანია გასცდა სოციალურ სფეროს. დღეს იგი შეიძლება პოლიტიკური და სამხედრო კონფლიქტების მიზეზადაც მოგვევლინოს. შეუქცევადი ეკოლოგიური დარღვევების გამო მოსახლეობის დიდი რაოდენობა ტოვებს თავის ადგილსამყოფელს და მიდის სხვაგან, მათ შორის მეზობელ სახელმწიფოებშიც.

ძალზედ დიდი საშიშროება იმალება ორგანული საწვავის მოპოვებასა და სატრანზიტო გზებზე საერთაშორისო გავლენისათვის ბრძოლაში. ამის თვალსაჩინო მაგალითს ერაყ-კუვეიტისა და საქართველო-რუსეთის ურთიერთობა წარმოადგენს. ასეთივე მდგომარეობაა წყლის რესურსების განაწილებასთან დაკავშირებით და სხვა.

პრობლემამ ისეთი მასშტაბი მიიღო, რომ იგი მომავალში მსოფლიოში დესტაბილიზაციის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად შეიძლება მოგვევლინოს. მდგომარეობა თანდათან უფრო გამწვავდება, განსაკუთრებით გარემოს მზარდ გაჭუჭყიანებასთან დაკავშირებით, მაგალითად, ატმოსფეროს გაჭუჭყიანების შედეგად ჰაერის ტემპერატურისა და კლიმატის ცვლილებები აუცილებლად გამოიწვევს იმ რეგიონების სასოფლო-სამეურნეო სისტემების მოშლას, რომლებიც უზრუნველყოფენ მსოფლიო მარცვლეულის წარმოების მნიშვნელოვან ნაწილს. ეს კი მოსახლეობის მასობრივი მიგრაციის მიზეზი გახდება. პროცესები უკვე დაწყებულია.

რა მდგომარეობაა ჩვენთან? ეროზირებული და დეგრადირებულია სავარგულების 53 პროცენტი, ნიადაგების 80 პროცენტს დაქვეითებული აქვს ნაყოფიერება. უმოწყალოდ იჩეხება ტყეები. აბსოლუტური განუკითხაობაა ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციასა და დაცვაში.

განსაკუთრებით შემაშფოთებელია გარემოს გაჭუჭყიანების საკითხი. წლების განმავლობაში სოფლის მეურნეობაში გამოიყენებოდა დიდი რაოდენობის ქიმიური საშუალება. 1971 წელს მოიხმარეს 100 ათასამდე ტონა, 1990 წლისათვის კი მან 250 ათას ტონას გადააჭარბა. 1990 წელს ატმოსფეროში გამონაბოლქვებმა შეადგინა 1,5 მილიონი ტონა, ნახმარი წყლების რაოდენობამ კი — 2 მილიარდი კუბური მეტრი წელიწადში. ტოქსიკური ნარჩენების რაოდენობა 1.300.000 ტონას აღწევს.

როგორც ვხედავთ, მდგომარეობა ძალზედ სერიოზულია. ეს თავისთავად ეჭვის ქვეშ აყენებს არა მარტო ჩვენი, არამედ მომავალი თაობების სასიცოცხლო გარანტიებს. ამიტომ დღეს ეკოლოგიური პოლიტიკა ზოგადსაკაცობრიო, ზნეობრივი კატეგორიის ნიშნებს იძენს და ქვეყანამ, თუ ის ჭეშმარიტად ცივილიზებულია და დემოკრატიის დამკვიდრების გზაზე დგას, ეს პრობლემები სახელმწიფოებრივი პოლიტიკის რანგში უნდა აიყვანოს.

მსოფლიოში დამკვიდრებული შეხედულებების გათვალისწინებით საქართველოში სახელმწიფო გარემოს დაცვითი პოლიტიკა უნდა ემყარებოდეს შემდეგ ფუძემდებლურ პრინციპებს:

მოქალაქის ძირითადი უფლებაა იცხოვროს ისეთ გარემოში, რომელიც უზრუნველყოფს მის კეთილდღეობასა და ჯანმრთელობას;

სახელმწიფო იცავს ბუნებას და სარგებლობს ბუნებრივი რესურსებით ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესებიდან გამომდინარე;

სახელმწიფო უზრუნველყოფს ბიოსფეროს ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ეკოსისტემების შენარჩუნებას და ეკოლოგიური პროცესების სტაბილურობას, ხელს უწყობს ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებას და იცავს ცოცხალი ბუნებისა და ეკოსისტემების ოპტიმალური პროდუქტიულობის პრინციპს;

სახელმწიფო აწესებს გარემოს დაცვის ნორმებსა და სტანდარტებს, ახორციელებს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების მონიტორინგს, აქვეყნებს ამასთან დაკავშირებულ მონაცემებს;

სახელმწიფო ატარებს წინასწარ ეკოლოგიურ ექსპერტიზას ან ითხოვს მის ჩატარებას ნებისმიერ სამეურნეო ქმედებასთან დაკავშირებით, თუ მას შეუძლია გავლენა იქონიოს გარემოზე ან თუ იგი დაკავშირებულია ბუნებრივი რესურსების გამოყენებასთან;

სახელმწიფო ვალდებულია დროულად მისცეს ინფორმაცია ყველა მოქალაქეს, რომელსაც შეიძლება შეეხოს დაგეგმილი საქმიანობა და უზრუნველყოს მათი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი უფლებები;

სახელმწიფო ქმნის პირობებს, რომლის საშუალებითაც უზრუნველყოფილია გარემოს დაცვის პრიორიტეტები სახელმწიფოს განვითარების დაგეგმვის და სამეურნეო თუ სხვა მოქმედებებისას;

სახელმწიფო იჩენს კეთილ ნებას და თანამშრომლობს სხვა სახელმწიფოებთან ჩამოთვლილი პრინციპების განხორციელების მიზნით;

სახელმწიფო იღებს ვალდებულებას შეაჩეროს ყველა საქმიანობა, რომელიც არღვევს გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ საერთაშორისო ვალდებულებებს და უზრუნველყოფს მიყენებული ზარალის კომპენსაციას;

სახელმწიფო იღებს ვალდებულებას გადაწყვიტოს გარემოს მდგომარეობასთან დაკავშირებული ყველა უთანხმოება მხოლოდ მშვიდობიანი გზით.

ამ პრინციპების რეალიზაციის საკვანძო საკითხს სახელმწიფოს შიგა პოლიტიკური მოწყობა წარმოადგენს. მსოფლიო გამოცდილებიდან გამომდინარე, ტოტალიტარული ტიპის გეგმიური ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებისთვის დამახასიათებელი მართვის უკიდურესად ცენტრალიზებული ფორმა ვერ უზრუნველყოფს ვერც ეკონომიკის ინტენსიფიკაციის და ვერც ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციის რაციონალიზაციას. ეს, თავისთავად, ექსტენსიური ეკონომიკისა და ბუნებრივი რესურსების დაუზოგავი ექსპლოატაციის მიზეზია, ამიტომ გარემოს შენარჩუნების თვალსაზრისით ჩვენი სახელმწიფოს შიგა პოლიტიკური მოწყობის ფუძემდებლური პრინციპები უნდა იყოს: 1. სამართლებრივი სახელმწიფო; 2. დეცენტრალიზებული დემოკრატიული მმართველობა; 3. საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრება.

ამ პრინციპებიდან გამომდინარე, აუცილებელია სახელმწიფო გარემოს დაცვითი პოლიტიკის ძირეული გარდაქმნა, ეს გულისხმობს ჩვენში უკვე ტრადიციად ქცეული მართვის ადმინისტრაციული სისტემიდან ცივილიზებულ ქვეყნებში დამკვიდრებული ეკონომიკური მართვის სისტემაზე თანდათანობით გადასვლას.

ემპირიულად დასტურდება, რომ სწორი ეკოლოგიური პოლიტიკა ეფექტური ეკონომიკის საფუძველია. აშშ-ში და სხვა ინდუსტრიულ ქვეყნებში ახალი რესურსთდამზოგი, ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების დანერგვით, დარგების უმრავლესობა გაცილებით მომგებიანი გახდა, ვიდრე ადრე იყო. სულ უფრო ფართოვდება ეკობიზნესი. დასავლეთ ევროპაში ეკოპროდუქციის ბაზრის მოცულობა 1989 წლისათვის შეფასდა 90 მილიარდ დოლარად. 2000 წლისათვის ნავარაუდევია ამ მოცულობის 174 მილიარდამდე გაზრდა. აშშ-ში ეკოინდუსტრიაში დასაქმებულია 3 მილიონი ადამიანი, 98 მილიარდი დოლარი წლიური ბრუნვით.

დღეისათვის უკვე აღიარებულია, რომ კეთილდღეობის კლასიკური მაჩვენებელი — მთლიანი ეროვნული პროდუქტი არ გამოხატავს საზოგადოების რეალურ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. მასში არ არის ასახული ეკოლოგიური დანახარჯები, მოსახლეობის ჯანმრთელობა, ბავშვთა სიკვდილიანობა და სხვა მრავალი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელი. ამიტომ იგი ვერ გამოდგება სახელმწიფოს განვითარების სწორი ორიენტირების შესარჩევად. დღეისათვის ეკონომიკურ მეცნიერებაში თანდათან მკვიდრდება კეთილდღეობის კომპლექსური მაჩვენებლები, რომელთა მიხედვითაც ქვეყნების განვითარების კლასიფიკაციაში აშშ მეოცე ადგილზე აღმოჩნდა ავსტრალიის, კანადის, ესპანეთის და სხვათა შემდეგ.

აქედან კარგად ჩანს, რომ ჩვენში გაბატონებულ შეხედულებათა სისტემა ეკოლოგიის არაეკონომიკურობის შესახებ, მცდარია და იგი უნდა შეიცვალოს სისტემით — „რაც ეკოლოგიურია, ის ეკონომიკურია".

ამ სისტემის ამუშავების ყველაზე ეფექტური საშუალება ეკოლოგიური გადასახადის შემოღებაა, რომელმაც არა მარტო უნდა შეზღუდოს გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შესაძლებლობა, არამედ სტიმულიც კი მისცეს რაციონალურ ბუნებათსარგებლობას და გარემოს გაჯანსაღებისა და დაცვის ღონისძიებათა განხორციელებას.

გადასახადები დიფერენცირებული უნდა იქნას რესურსების მნიშვნელობის, დაბინძურების ხარისხისა და სახეობების, ობიექტების გეოგრაფიული მდებარეობის და რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური დანიშნულების მიხედვით.

გარემოს დაცვით ან აღდგენით ღონისძიებათა განხორციელებისა და ამ მიმართულებით საქმიანობის სტიმულირებისთვის უნდა შეიქმნას ადგილობრივი და რესპუბლიკური ეკოლოგიური ფონდები. აქ თავს მოიყრის ყველა სახის გადასახადი და სახელმწიფოს მიერ გარემოს დაცვით ღონისძიებებზე გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრები. ფონდს ერთი პატრონი უნდა ჰყავდეს გარემოს დაცვის სამსახურის სახით.

გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების მიზნით საჭიროა შემოვიღოთ მოგების დაბეგვრის შეღავათიანი წესი. ეკოლოგიურად სუფთა წარმოებათა შეღავათიანი სუბსიდირება-დაკრედიტება, უნდა დაინერგოს დაბინძურების ლიმიტებისა და რესურსების ბაზარი და ა.შ.

ყოველივე ეს კომპლექსში საშუალებას მოგვცემს ჩვენი ეკონომიკა განვავითაროთ სასურველი ეკოლოგიურად ჯანსაღი მიმართულებით. მსოფლიოში ამის დიდი გამოცდილება არსებობს. მაგალითად, ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიების სტიმულირებამ ამ ბოლო 15 წლის განმავლობაში ინდუსტრიულ ქვეყნებში პროდუქციის მოცულობის განუხრელი ზრდის ფონზე ენერგიის მოხმარება 33 პროცენტით შეამცირა.

მაგრამ ჩვენი სახელმწიფოს დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე ეკოლოგიური პრობლემების მხოლოდ ეკონომიკური მეთოდებით მოგვარება შეუძლებელია, თუ პარალელურად არ გამოვიყენეთ ისეთი უმკაცრესი ადმინისტრაციული ღონისძიებანი, როგორიც არის დაჯარიმება, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემა, სამეურნეო საქმიანობის შეჩერება, აკრძალვა და ა. შ. ამ საშუალებების ეფექტური გამოყენებისათვის უნდა არსებობდეს ეკოლოგიური პოლიცია, რომლის ძირითად ფუნქციებს გარემოზე ზემოქმედების ფაქტების მოძიება და აღკვეთა უნდა წარმოადგენდეს.

გარემოს დაცვის ადმინისტრაციული მიდგომის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ და ამავე დროს გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს დაცული ტერიტორიების (ნაკრძალები, ეროვნული პარკები და ა. შ.) გაფართოება და შექმნა. დღეისათვის მსოფლიოში ეროვნულ პარკებს ხმელეთის 1,7 პროცენტი უკავია, ზოგიერთ ქვეყანაში კი — თითქმის მთელი ტერიტორია. მაგალითად, არგენტინაში 94, ბრაზილიაში 79 პროცენტი და ა. შ.

საქართველოში გარემოს დაცვის სამსახური ჯერ კიდევ 70-იან წლებში შეიქმნა, მაგრამ იგი ყოველთვის აღმასრულებელი ხელისუფლების აუცილებელ ბუტაფორიულ დანამატად თუ აღიქმებოდა.

ამიტომ ახლებური პოლიტიკის ძირითადი პრინციპების ამოქმედებისათვის აუცილებელია მისი სტრუქტურული სრულყოფა და სრული რეორგანიზაცია.

დღეისათვის მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაშია შექმნილი გარემოს დაცვითი სამსახურები. მათი განვითარების ტენდენციების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ისინი, როგორც წესი, სახელმწიფო-მონოპოლისტური რეგულირების ფორმას ამჯობინებენ. შეიმჩნევა აშკარად გამოხატული ცენტრალიზაციის და ხელისუფლებაში გავლენის ზრდის ტენდენცია. მაგალითად, აშშ-ში ეს სამსახური უშუალოდ ემორჩილება პრეზიდენტსა და კონგრესს, გერმანიაში უმაღლეს აღმასრულებელ ხელისუფლებაში არსებობს „ეკოლოგიური კაბინეტი" და ა. შ.

დღეისთვის გარემოს დაცვითი სტრუქტურების აღმასრულებელი ხელისუფლებისგან დაშორების პრობლემა ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ცივილიზებული ქვეყნისთვის. ეს გასაგებიც არის ამ ხელისუფლების პრაგმატულობიდან გამომდინარე. ამიტომ დაუშვებელია, განსაკუთრებით დღევანდელი საქართველოსთვის, ამ სამსახურის მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში ყოფნა, აუცილებელია, რომ იგი დამოუკიდებელი „გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების" კომიტეტის სახით ანგარიშვალდებული გახდეს მხოლოდ პარლამენტის წინაშე. მასვე უნდა დაეკისროს მთელი პასუხისმგებლობა რესპუბლიკაში ბუნების მდგომარეობასა და ახლანდელი და მომავალი თაობების ეკოლოგიურ უსაფრთხოებაზე.

ამასთან ერთად აუცილებელია:

რესპუბლიკაში არსებული ყველა იმ დაწესებულებისა და უწყების საქმიანობის კოორდინაცია, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული გარემოს დაცვასთან და შესაძლებლობისდაგვარად მათი სხვადასხვა სახის დაქვემდებარებით კომიტეტში გაერთიანება;

გარემოს მდგომარეობაზე და ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე ინფორმაციის მიწოდების ერთიანი სისტემის და საინფორმაციო ბანკის შექმნა;

ეკოლოგიური კონტროლის სისტემის მკაცრი ცენტრალიზაცია;

„გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების" კომიტეტისათვის ეკოლოგიურ ფონდში არსებული სახსრების განკარგვის განუყოფელი უფლების მინიჭება.

გარემოს დაცვის სამსახურის სტრუქტურული რეორგანიზაციის პროცესში უნდა გავითვალისწინოთ სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის, როგორც გარემოს დაცვის ყველაზე ეფექტური პროფილაქტიკური სისტემის როლისა და ქმედითუნარიანობის მკვეთრი ამაღლება. იგი უნდა ხორციელდებოდეს ნებისმიერი საინვესტიციო, სამეურნეო თუ სხვა სახის გადაწყვეტილების მიღებამდე და უნდა გააჩნდეს კანონით მინიჭებული „ვეტოს". უფლება.

მთლიანად უნდა შეიცვალოს გარემოს დაცვის სამსახურის მუშაობის პრინციპი და იგი ცივილიზებულ ქვეყნებში აპრობირებული სახელმწიფო ეკოლოგიური პროგრამებით მუშაობაზე გადავიდეს. სამეცნიერო დაწესებულებებთან ერთად დამუშავებული ეს პროგრამები საჭიროა დაამტკიცოს საქართველოს პარლამენტმა, შესაბამისი დაფინანსების გამოყოფით.

ამ პროგრამებს საფუძვლად შეუქმნის ბუნებრივი რესურსების და გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენება, რომელიც გარემოს დაცვის სამსახურმა უნდა გამოაქვეყნოს კანონით დადგენილ ვადებში და პერიოდულობით.

ახლა შევეხოთ გარემოს დაცვის პროგრამების დაფინანსების საკითხს. განვითარებულ ქვეყნებში ამ მიმართულებით კოლოსალური თანხები იხარჯება. აშშ-ში 1970-1990 წლებში ამ ხარჯებმა 1 ტრილიონი დოლარი შეადგინა და მისი მოცულობა 1970-80 წლებში ევროპისა და ამერიკის თითქმის ყველა ქვეყანაში გაორმაგდა. 1980 წლის მდგომარეობით გარემოს დაცვასა და აღდგენაზე დანახარჯებმა შეადგინა საერთო ეროვნული პროდუქტის 1,3 პროცენტი ავსტრალიაში, 1,7 — საფრანგეთში 2 — შვეიცარიაში, 3,4 — იაპონიაში, საქართველოში კი მხოლოდ 0,05-0,17 პროცენტი. აქედან კარგად ჩანს ის დამოკიდებულება, რომელიც ჩვენს ხელისუფალთ ტრადიციულად ჰქონდათ ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემის მიმართ. ამიტომ ყველა საშუალება უნდა გამოვიყენოთ ეკოლოგიური პრობლემის გადაწყვეტის ფინანსური უზრუნველყოფისთვის.

ზემოთ ჩამოყალიბებული გარემოს დაცვითი სახელმწიფო პოლიტიკა საჭიროა განხორციელდეს ორ ეტაპად.

პირველ ეტაპზე უნდა შევქმნათ ახალი ეკოლოგიური პოლიტიკის იურიდიულ-სამართლებრივი გარანტიები. კერძოდ, პარლამენტმა მიიღოს ეკონომიკურ რეფორმასთან დაკავშირებული კანონები: პრივატიზაციის, საკუთრების ფორმების, საბანკო, ხელისუფლების ადგილობრივი მმართველობის, საგადასახადო სისტემის და სხვა;

ამასთან ერთად, უნდა მივიღოთ კანონები ბუნებათსარგებლობის შესახებ: მიწის, წიაღის, წყლის და ტყის კოდექსები, ნიადაგის, მცენარეთა და ცხოველთა დაცვის ეკოლოგიური ექსპერტიზის, ეკოლოგიური გადასახადის, ეკოფონდის და ა. შ.;

საჭიროა მოხდეს ბუნებრივი რესურსების რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება და კადასტრირება;

ჩატარდეს ეკოლოგიურად მავნე ობიექტების სრული ინვენტარიზაცია და პასპორტიზაცია;

შემუშავდეს სახელმწიფო ეკოლოგიური სტანდარტები და ნორმები, დადგინდეს ბუნებრივი რესურსების ლიცენზირების წესები;

მომზადდეს ეროვნული მოხსენება;

შეიქმნას ბიუჯეტგარეშე ეკოლოგიური ფონდი;

დამუშავდეს სახელმწიფო გარემოს დაცვითი პროგრამების შედგენის მეთოდური საფუძვლები;

მეორე ეტაპზე უნდა განხორციელდეს გარემოს დაცვის სამსახურის სრული სტრუქტურული რეორგანიზაცია და დაისვას საკითხი მინისტრთა კაბინეტიდან მისი გამოყვანის შესახებ;

პარლამენტს დასამტკიცებლად წარედგინოს გარემოს დაცვის სახელმწიფო პროგრამების პროექტები.

• • •

დღეს საქართველოში უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაა. ჩვენ ქვეყნის გადარჩენაზე ვფიქრობთ. მაგრამ რამდენად პარადოქსულადაც უნდა მოგვეჩვენოს, სწორედ დღეს გვეძლევა ისტორიული შანსი ავაშენოთ ახალი ტიპის ეკოდემოკრატიის სახელმწიფო, რომელიც გამორჩეული იქნება მსოფლიო თანამეგობრობაში თავისი ეკოლოგიური პრიორიტეტებით.

გია გაჩეჩილაძე,
მეცნიერებათა დოქტორი, პარლამენტის წევრი, მწვანეთა ფრაქცია.

ზურაბ ანდრიაძე:

მთავარია თანხვედრის წერტილებისა და არა განხეთქილების საბაბის ძებნა

— ჩანს, ნათლობა ბედნიერი გამოდგა, — თურქეთში დაწყებული სპიკერობა უკრაინაშიც გაგრძელდა, — ვეუბნები ზურაბ ანდრიაძეს.

საქმე ისაა, რომ ოქტომბრის ბოლოს შავიზღვისპირეთის ეკონომიკური თანამშრომლობის პარლამენტთაშორისი ასამბლეის სხდომის ხელმძღვანელობა მისმა სპიკერმა ჯინდორუკმა ველარ შეძლო იმის გამო, რომ იგი იმ მომენტში სცვლიდა ქვეყნის პრეზიდენტს (რომელიც ოფიციალურ ვიზიტად პოლონეთში იმყოფებოდა). წესით, ასეთ დროს, ასამბლეის სპიკერის მოვალეობის შესრულება სხვას ეკისრება. საერთო გადაწყვეტილებით ეს მაშინ საქართველოს დელეგაციის წევრს, პარლამენტის საზღვარგარეთთან ეკონომიკური ურთიერთობის ქვეკომისიის თავმჯდომარეს ზურაბ ანდრიაძეს დაევალა.

— იმ სესიის ხელმძღვანელობა ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე ჩვენი პარლამენტისა, — თქვა მაშინ თურქეთიდან დაბრუნებულმა ბატონმა ზურაბმა. — სპიკერს დიდი უფლებები აქვს, თუმცაღა, ფაქტობრივად მას თითქმის არ სჭირდება ამ უფლებების გამოყენება, რადგან ეტიკეტს ყველა მკაცრად იცავს, რაც ნორმალური მუშაობისათვის ძალზე კარგ პირობებს ქმნის.

ამ რამდენიმე ხნის წინათ კი ასამბლეის მორიგი შეკრება უკრაინაში გაიმართა. ამჯერად, ბატონი ჯინდორუკი იქ გახლდათ. გახსნა კიდეც სესია, მაგრამ შემდეგ მისი ხელმძღვანელობა ზურაბ ანდრიაძეს გადაულოცა.

— რადგანაც ერთი შემთხვევა, როგორც ამბობენ, გამონაკლისია, ორი კი — უკვე ტენდენცია, აქაც რაღაც კანონზომიერების დანახვა ხომ არ შეიძლება?

— ბატონ ჯინდორუკს და, საერთოდ, თურქებს, როგორც უშუალო მეზობლის მიმართ, ჩვენდამი განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვთ. ისინი ყოველ წუთს ამჟღავნებენ დაუფარავ სიმპათიას. ესეც არის იმის მიზეზი, უკრაინაშიც უყოყმანოდ რომ გადმომილოცა სპიკერის როლი.

აქტუალური ინტერვიუ

— რა იყო უკრაინაში ასამბლეის შეკრების ძირითადი მიზანი? დავაკონკრეტოთ: მაინტერესებს ასამბლეის, კომიტეტის, ბიუროს სხდომათა თემატიკა.

— აქამდე ვერც ერთმა მასპინძელმა ქვეყანამ ვერ შეძლო ერთდროულად ასამბლეის, მუდმივი კომიტეტებისა და ბიუროს სხდომების გამართვა. უკრაინამ, თუმცაღა ძალზე უჭირთ, კარგად გაართვა თავი მასპინძლის როლს ყველა ასპექტში — აქ მუშაობის საუკეთესო პირობები შეგვიქმნეს. განვიხილეთ საორგანიზაციო საკითხები, გაიმართა პარლამენტთაშორისი ეგიდით საჭირო ყველა პროცედურა, გაიმართა სესია, კომიტეტის ბიუროს სხდომები; მოვისმინეთ სამივე მუდმივი კომიტეტის (პოლიტიკური და სამართლებრივი, ეკონომიკური, კულტურის, მეცნიერების, განათლების) ანგარიშები. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ გაერთიანება ორგანიზაციულად ჯერ მხოლოდ ფორმირების პროცესშია. ამიტომ საკითხების სპექტრი მრავალფეროვანი იყო — ასამბლეის ბიუჯეტი გნებავთ თუ კომიტეტების სამუშაო გეგმების განხილვა.

— სესიების სხდომები, ალბათ, ევროპულ სტანდარტებს მიესადაგება და ნაკლებად ჰგავს ჩვენი პარლამენტისას.

— რასაკვირველია, ყველაზე დადებითი ევროპული მახასიათებელი, რომელიც იქ აშკარად შეიგრძნობა, ეს არის დროის ყადრის ცოდნა. იქ დროს ამაოდ არავინ კარგავს, ამიტომ დაძაბულ, ინტენსიურ მუშაობას კარგი შედეგი მოსდევს. ერთი რამ არის კიდევ ხაზგასასმელი: აქ უკვე არსებულ გამოცდილებას ეფექტიანად იყენებენ, უარყოფითს არავინ უბრუნდება.

— ამ ასამბლეის შესახებ ჩვენში კი თქმულა, დაწერილა, მაგრამ, ვგონებ, მაინც ზედმეტი არ იქნება ერთხელ კიდევ შევახსენოთ მკითხველს მისი მიზნები, ფუნქციები.

— რაკიღა სიტყვამ მოიტანა, გეტყვით, რომ ასამბლეის საქმიანობას ყველაზე ნაკლებ ყურადღებას ჩვენი საინფორმაციო საშუალებები უთმობენ. სხვაგან გაცილებით მეტი ითქმება და იწერება. მაგალითად, ასამბლეის მუშაობის პერიოდში თურქეთის ტელევიზიისა და რადიოს ყველა არხი ამ ცნობით იწყებს თავის საინფორმაციო ბლოკებს! ასამბლეისადმი ყურადღებაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ კიევში უკრაინის 49 საელჩოს წარმომადგენელი ესწრებოდა სხდომებს.

რაც შეეხება მიზნებს და ამოცანებს: ასამბლეა კანონებს ვერ მიიღებს, მას მხოლოდ რეკომენდაციების მიცემა შეუძლია, რომლებიც ხელს შეუწყობს ამა თუ იმ დარგის განვითარებას, ვთქვათ, ეკონომიკას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პრაგმატიზმი მისი საქმე არ არის. მას ეხება ეკონომიკური და სოციალური პროგრესისათვის საჭირო ბიძგების მოძიება უმაღლეს სამართლებრივ დონეზე. მაგალითისათვის ავიღოთ ტვირთის გადაზიდვის იურიდიულ-სამართლებრივი ბაზების მოგვარება. განა ეს პატარა პრობლემაა? ანდა, საბაჟო ურთიერთობათა მოწესრიგება პირველ ხანებში თუნდაც უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის შექმნით; გაერთიანებული ძალისხმევით რეკეტის, ბანდიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, რაც სახელმწიფოთა შორის ხელშეკრულებათა დონეზეა გათვალისწინებული; მოწინავე ტექნოლოგიების გაცვლა და ასე შემდეგ.

შეხვედრებზე წარმოიშობა ხოლმე მშვენიერი იდეები, თუნდაც — შავი ზღვის აუზის ბანკის შექმნის იდეა. წმინდად ეკონომისტის პოზიციებიდან მოგახსენებთ: თუ სწორად გამოვიყენებთ ამგვარი ბანკის შესაძლებლობებს, პოტენციალს, კარგ შედეგებს მივიღებთ. ფაქტობრივად ეს არის მსოფლიო საბანკო სისტემაში ჩართვის საშუალება ქვეყნების ჯგუფის გარანტიებით. მისი ერთ-ერთი დადებითი როლი ერთგვარ გამაწონასწორებელ ფუნქციაში გამოიხატება, რაც ძალზე მნიშვნელოვანია.

— არაფერი გვითქვამს, ჩემი აზრით, ერთ-ერთ ძირითად პრობლემაზე — ეკოლოგიაზე, რაც ასე უჭირს დღენდღეობით შავ ზღვას.

— შავი ზღვის გადარჩენა ამ ასამბლეაში შემავალი ქვეყნების ერთ-ერთი გადაუდებელი პრობლემათაგანია. ყველა თავისი წილი ზღვის გადარჩენაზე ხომ ვერ იზრუნებს. ეს იმ პრობლემათა რიცხვს განეკუთვნება, სადაც ინტეგრაციის აუცილებლობა თვალსაჩინოა, ამიტომ უკეთესია საამისოდ გამოყოფილი ხარჯების გაერთიანება და ერთობლივად ფიქრი საშველზე.

ეს ფაქტობრივად ჩვენსავე მომავალზე ფიქრია, შვილების წინაშე ჩვენი უთუოდ გადასახდელი ვალია.

ლინა გიორგაძე.

ინფორმაცია 93

საახალწლოდ ემზადებიან

თბილისელები ახალი წლისთვის ულვინოდ არ დარჩებიან. ტრადიციისამებრ „სამტრესტი" აწყობს სასმელებით საახალწლო ვაჭრობას თავის საფირმო მაღაზიებში. როგორც საქინფორმის კორესპონდენტს გაერთიანებაში აცნობეს, ქალაქელებისთვის მისაყიდად უახლოეს დღეებში შემოიტანენ ორას ათას ბოთლ სხვადასხვა მარკის ღვინოს, ასი ათას ბოთლ კონიაკს, აგრეთვე შამპანურს. ამას გარდა, გათვალისწინებულია ჩამოსასხმელი ღვინის გაყიდვა.

ამ დღეებში „სამტრესტი" ასრულებს მნიშვნელოვან შეკვეთას თურქმენეთისთვის, რომელიც ჩვენს რესპუბლიკას გაზით ამარაგებს. ცისფერი სათბობის სანაცვლოდ საქართველომ ამ რესპუბლიკას უნდა გაუგზავნოს ჩაი, მინერალური წყალი, სასმელები. რაც შეეხება, კერძოდ, ღვინოარყის ნაწარმს, მარტო კონიაკი სამასი ათასი ბოთლი გაეგზავნება. შეკვეთის შესრულებაში დიდ მონაწილეობას იღებს ფირმა „თბილისღვინო", რომელმაც, სიმძლავრეთა მხოლოდ 15-20 პროცენტით დატვირთვის მიუხედავად, ცხრა თვის მანძილზე სახელმწიფო ბიუჯეტში სულ 320 მილიონზე მეტი კუპონი გადარიცხა. და თურქმენეთში გასაგზავნად მოამზადა ხუთი ათასი დეკალიტრი ღვინო.

●

მეტი ყურადღება — დაჭრილებს

22 დეკემბერს დაჭრილ მეომართა სოციალური დაცვის კომიტეტის ინიციატივით რესპუბლიკურ საავადმყოფოში მიიწვიეს: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ ერქვანია, ლტოლვილთა პრობლემების კომიტეტის თავმჯდომარე ვალერი ვაშაკიძე, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე თემურ კალანდაძე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი მერი ჯანგველაძე.

ისინი დაწვრილებით გაეცნენ დაჭრილთა მდგომარეობას, მათი მკურნალობის მიმდინარეობას, სურსათით, მედიკამენტებით მომარაგების ორგანიზაციას. საერთოდ საავადმყოფო ყოველგვარ საჭირო პირობებს ქმნის, მაგრამ ამასთანავე მწვავედ იგრძნობა მედიკამენტების, კვების პროდუქტების ნაკლებობა. დაჭრილთა სოციალური დაცვის კომიტეტის წევრმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის მასწავლებელმა ციალა ნებიერიძემ აღნიშნა, რომ ასევე მოინახულებენ დაჭრილ სამხედრო მოსამსახურეებს სხვა საავადმყოფოებში, სადაც ისინი მკურნალობენ.

„მრგვალ" მაგიდასთან

თბილისი. ჰუმანიტარული ინიციატივების საერთაშორისო ფონდი, სახალხო დიპლომატიის საერთაშორისო კომიტეტი და სახალხო დიპლომატიის საერთაშორისო მუდმივი მისია აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით აწყობენ „მრგვალ მაგიდას" თემაზე: „სოჭის შეთანხმების ჩაშლის შემდეგ არის თუ არა გამოსავალი აფხაზური კონფლიქტის ჩიხიდან?" მის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებს საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ალექსანდრე კავსაძე, რომელიც 22 დეკემბერს გაემგზავრა მოსკოვს, აგრეთვე რუსეთის ინტელიგენციის, სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები, საზოგადოებრივი გაერთიანებები, სამეცნიერო ცენტრები და რუსეთის პოლიტიკური მოღვაწეები. ფაქტობრივი მასალების გაცნობის შემდეგ მოეწყობა დისკუსიები და პრესკონფერენცია.

თბილისი. თელავში იმყოფებოდნენ აშშ-ის არაკომერციული კორპორაციის სასწავლო პროგრამის „ინტერნიუსის" დირექტორი პოლ გრინბერგი და აღმასრულებელი დირექტორი ვინს მალმგრენი. ეს ორგანიზაცია მოწოდებულია ხელი შეუწყოს საერთაშორისო კონტაქტების განვითარებას ტელევიზიის მეშვეობით და აგრეთვე დაეხმაროს დამოუკიდებელ ტელეკომპანიებს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში და ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში.

რეზო ინანიშვილის გახსენება

არა! ჩვენი გატეხვა არავის და არაფერს შეუძლია. იმის მიუხედავად, რომ უდიდეს გაჭირვებას განვიცდით, ნორმალურად არ მუშაობს ტრანსპორტი, არა გვაქვს გათბობა, ელექტროენერგია, მაინც ვახერხებთ სულიერი საზრდო მივაწოდოთ ჩვენს საზოგადოებას, ხალხს. ასე იყო ამჯერადაც, როცა საქართველოს კულტურის ფონდთან არსებული ვაჟა-ფშაველას სახელობის საყმაწვილო საზოგადოება „შვლის ნუკრის" ინიციატივით, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მცირე დარბაზში ჩვენი საყვარელი მწერლის რეზო ინანიშვილის ხსოვნის საღამო გაიმართა.

ყველას გული გვწყდება, ვინც კი ამ უაღრესად საინტერესო მწერალსა და ადამიანს ახლოს იცნობდა, რომ ამ ორი წლის წინათ, სწორედ დეკემბრის მიწურულის ტრაგიკული დღეების განცდაში, რეზოს ხათნო გულმა ვერ გაუძლო ქართველთა შორის ატეხილ უბედურებას და დაილეწა. ისე დაკრძალეს, საზოგადოებამ ღირსეული პატივიც ვერ მიაგო. მწერლის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე ამ ამბავს იხსენებდნენ მწერალი ქეთევან ბილაშვილი, პოეტი ჯანო ჯანელიძე, საზოგადოება „შვლის ნუკრის" თავმჯდომარე მარიკა ზედილაშვილი და სხვები.

საღამო ორიგინალურად იყო ჩაფიქრებული. სცენა ქართული ფოლკლორის სასახლის ბიჭუნათა ანსამბლს — „მართვეს" დაეთმო. შემდეგ კი, მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის პოეზიის თეატრის ხელმძღვანელის ელდინო ხალარაძის წარდგინებით, რეზო ინანიშვილის საბავშვო მოთხრობებს პატარა მსახიობები კითხულობდნენ. „უკუღმა დაჭედილი", „ბიბო", „ვანო", „დიდთავა ბიჭი და ცისფერთვალა გოგონა", „ფიროსმანი", „კატის ქურდი", „მირანდუხტ", „ზამთრის პირის ბინდი", „მეფე ირაკლი და ანანურელი ულამაზოები", „ცოცხალი ჭრები", რამდენი ლირიზმი, სიკეთე, სიყვარული გამოსჭვივის თითოეულ ამ ნაწარმოებში. როგორ უფაქიზებენ ადამიანის სულს მწერლის დიდი ოსტატობით წარმოსახული გმირები, ასე დიდებულად რომ წარმოგვიდგინეს ყმაწვილებმა.

საღამო მწერლის დაბადების დღეს, 20 დეკემბერს გაიმართა და სინანულით აღნიშნეს კიდეც, მას ხომ 67 წელიწადი შეუსრულდებოდა. ალალმართალი, პატიოსანი, შრომისმოყვარე, უაღრესად კაცთმოყვარე, ერთგული მეგობარი, დიდი პატრიოტი — ასე ახასიათებდნენ მას მეგობრები, ახლობლები, მისი შემოქმედების თაყვანისმცემლნი.

შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატის რეზო ინანიშვილის წიგნები მარად იცოცხლებს და კეთილშობილების გრძნობით აღზრდის მომავალ თაობებს.

ლარისა ხუბულური.

ყველაზე იაფად !!!
იყიდება წყლის სწრაფმოქმედი ელექტროგამაცხელებლები
ATMOR SUPER-5
(ისრაელის წარმოების)
5 კვტ. 220ვ.
ფასი: $ 120
ტელ: 95-24-46
95-06-42
95-69-38

"ATMOR"- ის ელექტროგამაცხელებლებს შორის ეს სუპერ მოდელი გამოირჩევა ფანტასტიკური შესაძლებლობებით:

- აცხელებს წყალს აპარატში გავლის დროს
–ტემპერატურის კონტროლის ორი გზა –იზოგება ელექტროენერგია და წყალი
- აცხელებს განუსაზღვრელი რაოდენობის წყალს
–ირთვება ავტომატურად წყლის მიწოდებასთან ერთად –მეტად მარტივი დასაყენებელი და სახმარია
- შეიძლება დააყენოთ ნებისმიერ ადგილას: აბაზანაში, სამზარეულოში, საცხოვრებელ ბინაში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში.
- აღჭურვილია ორმაგი ავტომატური დაცვით

იჩქარეთ, რადგან ახალი წლიდან ფასი გაიზრდება

ლტოლვილი

რა დავაშავეთ ასეთი?

ყველასთვის ცნობილი მიზეზების გამო, აფხაზებმა და მათმა დაქირავებულმა კაცისმკვლელებმა გალი ისე აიღეს, რომ ერთი ტყვია არ გასროლილა. (თუ მხედველობაში არ მივიღებთ გამარჯვების სალუტს. ქალაქის ცენტრში და მდინარე ენგურთან).

გალი ყველასთვის ცნობილი იყო თავისი შრომითი ტრადიციებით და დღეს გამოდის, რომ შრომის მეტი მართლა არაფერი ცოდნიათ იქაურებს. ზოგიერთი პარლამენტარი გვამუნათებს, გალელებმა არ იბრძოლესო, ასეთ საყვედურს სოხუმელებიც არ მალავენ, არადა, ბევრი გალელი ახალგაზრდა შეეწირა ამ ძმათამკვლელ ომს. მაგრამ, ასე იყო თუ ისე, მოვიშველიებ ჭკვიანი ხალხის ნათქვამს და გალი [illegible]ორის კისერივით დაიკარგა".

გალელებს ნაშრომ-ნაამაგარი გააქვთ დროებით გამარჯვებულ აფხაზებსა და მათ დაქირავებულ არამზადებს, კლავენ მშვიდობიან მოსახლეობას, დაცლილ სახლებს თავიანთი სიამოვნებისთვის წვავენ, სიმინდის „მოსავალიც აიღეს" და გუდაუთას მიართვეს და ა. შ.

გალის რაიონიდან გატანილი ქონება (მოსახლეობის სიმდიდრე, რაიონში დამზადებული ჩაის პროდუქცია, თხილი და სხვ.) ფულზე გადაყვანით, აფხაზებს წლების მანძილზე ეყოფათ მებრძოლთა დასაქირავებლად, გალიდან გახიზნული მშიერ-მწყურვალი მოსახლეობა კი ვინ იცის სად აფარებს თავს.

რაც გალის რაიონს დაემართა, ის პოლიტიკოსებმა და ისტორიკოსებმა განსაჯონ. ერთი კი ფაქტია, ამ შემთხვევაში გალელებს სალათას ძილით დაგვეძინა, გალის აქტივი დამუნჯდა, ყველანი ზემდგომ მითითებებს უსიტყვოდ ვასრულებდით, ხოლო სოხუმის დაცემის შემდეგ არ გამოჩნდა არც ერთი ხელმძღვანელი, თავს უშველეთ, რამე გაიტანეთო, ეთქვა, პირიქით, ამბობდნენ, გალს ხელს არავინ ახლებსო.

გავბედავ და იმასაც ვიტყვი, რომ თუ დაქირავება იყო გამოსავალი, ჩვენც დავიქირავებდით. ამას იმის მეათედი დასჭირდებოდა, რაც დავკარგეთ, მაგრამ გვიანღაა თითზე კბენანი.

ხიზნად ყოფნას ყველაფერი სჯობს. ალბათ, ყველა გალელი ამას პარტიზანულ ცხოვრებას ამჯობინებს.

შოთა დარსანია,
გალის რაიონის ზემო ბარღების მებაღეობის სახელმწიფო მეურნეობის დირექტორი, ამჟამად ხიზანი.

რეპლიკა

მოუკლა ევგენ ხვედელიძის ირონიამ!..

რა დაგიშავეთ, ძმაო, ხვედელიძე — გაზეთ „რეზონანსის" მიმომხილველო, რა დაგიშავეთ... რას გვიგესლები, რას გვეირონიები?.. „უკვდავი „საქართველოს რესპუბლიკა"... აწვება და ალოზუნებს ჩვენს დღევანდელობასო", შხამს და ბოღმას ანთხევ „რეზონანსის" ბოლო ნომერში რესპუბლიკური პრესის მიმოხილვისას და იმას აღარ კითხულობ, რას „ვაწვებით" ამისთანას, რას ვალოზუნებთ, ჩვენი ხალხის დღევანდელ უკიდურეს გასაჭირს ვიწონებთ, საქართველოს დამაქცევართ მხარზე ხელს ვუთათუნებთ, თუ რას ვალოზუნებთ?..

თუმცა, მიგიხვდი, მიგიხვდი... მთავრობის პოლიტიკის მხარდამჭერი წერილები გაქვს მხედველობაში, არა?.. ხომ ასეა?!. რატომ გგონია, ძმიკო, (შენც და ბარე ორსაც), რომ ქვეყანაში არ უნდა არსებობდეს გაზეთი, რომელიც მხარს უჭერს არსებულ ხელისუფლებას (თუ, რა თქმა უნდა, სწორ პოლიტიკას ატარებს იგი). ისე, თუ კადრულობ „საქართველოს რესპუბლიკაში" ჩახედვას მაინც, გაზეთს სიმკაცრე და კრიტიკული თვალი არ აკლია...

რა საკადრისია, კოლეგავ! „საქართველოს რესპუბლიკას" სხვა გაზეთებთან შედარებით შეიძლება ოდნავ უკეთესი მდგომარეობა კი ჰქონდეს (თუნდაც, იმიტომ, რომ სულ მთლად დაქცეული არავის ვეგონოთ და ერთი ყოველდღიური გაზეთი მაინც გამოდიოდეს), მაგრამ ჩვენც ისევე გვიჭირს და ვუძლებთ ამ არეულ დროს, როგორც თქვენ....

სხვათა შორის, ამ დღეში სწორედ ერთმანეთის გვსვლამ, ბოღმამ, შურმა და გაუტანლობამ ჩაგვაგდო!.

P. S.

„საქართველოს რესპუბლიკას", ბატონო ევგენ, ყოველდღე 64 ათასი ხელმომწერი ელოდება, ხოლო, საერთო ტირაჟი წელს, ამ უკიდურესი გაჭირვების მიუხედავად, ოთხმოცდაათიათასამდეა.

ვილენ მარდალეიშვილი.

კრიმინალური ქრონიკა

დაუდგენელმა ბოროტმოქმედებმა კარების შემტვრევით შეაღწიეს სამტრედიის რკინიგზის 24-ე საშუალო სკოლაში, საიდანაც მოიპარეს 1 მილიონი კუპონის ღირებულების სხვადასხვა ინვენტარი.

დიღმის მასივში მდებარე კინოკონცერნ „ქართული ფილმის" საცხენოსნო თავლიდან დაუდგენელმა ბოროტმოქმედმა მოიპარა 4 ცხენი.

ამ ფაქტებთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

ფასდაუდებელი დანამატი

საშენ მასალათა მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სპეციალისტებმა შეიმუშავეს ქვიშის, ხრეშის, მინერალური ფხვნილის — შემვსების, კირის ნედლეულის ეკოლოგიურად წმინდა ტექნოლოგია კარბონატის მთის ქანებისაგან ცემენტის წარმოებისათვის.

მეცნიერებმა სრულყვეს მშენებლებისათვის ქვიფას მასალებად მთის ქანების გადამამუშავებელი ცნობილი ტექნოლოგიური ხაზი, რომელშიც შეიტანეს ახალი მექანიზმები — კარბონატის ქანების დამქუცმაცებელი დამატებითი კვანძი და მტვერსაჭერი დანადგარი. ტექნოლოგიური ციკლის მოჩვენებითი გაძვირება დიდ პრაქტიკულ სარგებელს გვპირდება: მნიშვნელოვნად გაფართოვდება ასორტიმენტი, გაუმჯობესდება პროდუქციის ხარისხი, დაცული იქნება გარემო სამრეწველო ნარჩენებით გაჭუჭყიანებისაგან და ამ გზით დაიზოგება მნიშვნელოვანი სახსრები იმ საწარმოთა მუშაკების საჭიროებებისათვის, რომლებიც წინათ „ნაგვისათვის" ჯარიმებს ხმარდებოდა.

კოტე ცხომელიძე.

გაიმართება პრესკონფერენცია

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ქართველი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის 24 დეკემბერს 12 საათზე საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სხდომათა დარბაზში (1-სართული) აწყობს პრესკონფერენციას, რომელიც ეძღვნება აფხაზეთის ტრაგედიასთან დაკავშირებულ პრობლემებსა და მათი გადაწყვეტის გზებს.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის პრესცენტრი.

„ბაცი" — დაგიბრუნებთ მხედველობას

ალბათ, ბევრმა არც იცის, რომ თბილისში არსებობს ფირმა „ბაცი", რომლის პრეზიდენტია ბადრი თედორაძე. ფირმა ხელშეკრულებით თანამშრომლობს სანქტ-პეტერბურგის, ფიოდოროვის სახელობის თვალის მიკრო-ქირურგიის კლინიკასთან.

„ბაცის" კვალიფიციური ექიმი პეტრე განიჩკინი ირკვევს თვალის სხვადასხვა დაავადებებს და საჭიროებისამებრ აგზავნის მათ სანქტ-პეტერბურგში სამკურნალოდ. აქ პაციენტებს მოემსახურებიან მაღალი დონის სასტუმრო-სანატორიუმში, სადაც აქედან ჩასულებს ურიგოდ მიიღებენ. 10 დღის განმავლობაში ადგენენ დიაგნოზს და ამის მიხედვით აკეთებენ თვალის უნიკალურ ოპერაციებს, რის შედეგადაც პაციენტებს 100 პროცენტიანი მხედველობა უბრუნდებათ.

ფირმა „ბაცი" მდებარეობს თავისუფლების მოედანზე, ყოფილი ცეკავშირის შენობაში, მე-4 სართულზე, 488-ე ოთახი.

მიმართეთ ფირმა „ბაცის" და კმაყოფილები დარჩებით.

საფინანსო სატრასტო კომპანია
ქოლორი

ანდეთ თქვენი სავალუტო დანაზოგები
ფირმა „ქოლორს" და
თქვენი შენატანები გაიზრდება...
3 თვით — 19-21 პროცენტი
6 თვით — 25-27 პროცენტი
ერთი წლით — 27-29-33 პროცენტი

გახსოვდეთ! დროზე ადრე თანხის გატანისას ყოველ თქვენს სავალუტო ერთეულს ემატება ყოველდღიური თანხა 0, 3 სავალუტო ერთეული.

„ქოლორი" იძლევა გარანტიას თქვენი შენატანების სრულ ანონიმურობაზე, მის შენახვაზე და აგრეთვე, პირველისავე მოთხოვნაზე თქვენი შენატანების 24 საათში მოგებით დაბრუნებაზე.

გვენდეთ და ჩვენთან ყოფნისას დარწმუნებული იქნებით ხვალინდელი დღის სიკეთეში.

ხელშეკრულების გაფორმების და სხვა დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე:

თბილისი, რუსთაველის პრ. 22. ტელეფონი: 99-84-06.

ამ დღეებში ჩვენი გაზეთის საკუთარ კორესპონდენტს ვახტანგ გოზალიშვილს დაბადებიდან 70 წელიწადი შეუსრულდა. იგი 35 წლის მანძილზე მუშაობდა ჯერ გაზეთ „კომუნისტისა" და შემდგომში „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციებში. 27 წელიწადს იყო რედაქციის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე, ამჟამად კი საკუთარი კორესპონდენტია. მინიჭებული აქვს რესპუბლიკის კულტურის დამსახურებული მოღვაწის წოდება, არის რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი. ჟურნალისტური მოღვაწეობისათვის დაჯილდოებულია საპატიო ნიშნის ორდენითა და მედლებით.

ჟურნალისტურ საქმიანობასთან ერთად ეწევა სამწერლო მოღვაწეობას, გამოქვეყნებული აქვს რომანები „ჟამი სიბრძნისა და სიყვარულისა", „მეორე ცოლი", „ქვრივის საყვარელი", მოთხრობების და ნარკვევების კრებულები, საქართველოს სხვადასხვა სახელმწიფო თეატრში დაიდგა მისი პიესები „ჩემი მეგობარი ჟურნალისტი", „ელდა" და სხვა.

რედაქცია იუბილარს უსურვებს კვლავაც ჩვეული ენერგიით ემსახუროს ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ და მკითხველს სთავაზობს მის კორესპონდენციას, რომელიც სადღეისო აქტუალურ საკითხს ეხება.

მთას არ უბრუნდება მთიელი

ანუ როგორ ცხოვრობენ დამეწყრილი სოფლიდან კახეთში ჩასახლებული აჭარლები

არც თუ ისე დიდი ხნის წინათ გაზეთები, რადიო-ტელევიზია აქებული იყო ნარკვევებით, ფილმებით, ქება-დიდებას ასხამდნენ იმათ, ვინც ჩამოვიდა მთიდან, ხოლო შემდეგ ბევრს ეცადნენ დაემტკიცებინათ, რომ მთას უბრუნდება მთიელი, მაგრამ ამაოდ. თვალსა და ხელს შუა მთის სოფლები ისე დაცარიელდა, რომ ბევრ მათგანში თითო-ოროლა კომლიღა შემორჩა.

— გახსოვთ, სამი წლის წინ, აჭარის მთიანი სოფელი წაბლანა მეწყერმა რომ ჩაიტანა და მხოლოდ ტაძარი გადარჩა? ამ სოფლის გვერდით ჩვენი, კვატაძეების სახლებიც ისე დაზიანდა, იქ ცხოვრება აღარ ღირდა. მას შემდეგ ქრისტიანული წესით სანთელს ვანთებ ხოლმე და განგებას ვთხოვ დაგვიფაროს ყოველნაირი გაჭირვებისგან, — მითხრა ამას წინათ ლაგოდეხის რაიონის ფირმა „ქიაურის" დირექტორის მოადგილემ ვალერიან აბაშიძემ, — აქ სოფელ ქიაურში, ახალ, კომფორტულ სახლებში ჩამოვესახლეს ხოზრევანიძეები, აბაშიძეები და სხვები. ზაფხულობით გრილი, ზამთრობით კი ყინვიანი მთიდან ალაზნისპირა დასიცხულ მიწებზე ცხოვრება პირველ ხანებში გაგვიჭირდა. ახლა კი უქიაუროდ ვერ წარმოგვიდგენია...

— ძალიან კარგი, ბატონო ვალერიან. აი იქ, სადაც თქვენი განახლებული სოფლის მთავარი ქუჩა და ბუნებრივი თბილი წყლის სამკურნალოა, მდინარე ჩაზულის გვერდით, ოციან წლების ბოლოს მწერალ სანდრო შანშიაშვილის „უწყლო წისქვილი" იდგა.

— უწყლო წისქვილი? — გაიკვირვა ვალერიანმა.

— ჰო, უწყლო წისქვილი... — ვუთხარი სმენადქცეულ ვალერიანს, ამ საუკუნის ოციანი წლების მიწურულს მწერალმა სანდრო შანშიაშვილმა, რომელიც გერმანიაში იყო განსწავლული, ქიაურში ახალმოდური წისქვილი ააშენა და სიღნაღის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარეს ჩახნაშვილს სთხოვა წისქვილის ასამუშავებლად წყალი მიეცა. თავმჯდომარემ შანშიაშვილის განცხადებას რეზოლუცია დააწერა: „ნება დაერთოს წისქვილის გახსნისაო". სანდრო გაბრაზდა და ექსპრომტად ლექსი უძღვნა:

„აღმასკომის თავმჯდომარევ, ჩახნაშვილო პაშა, უწყლოდ წისქვილს რომ აბრუნებ, ვაშა ბიჭო, ვაშა!". ამ ლექსს მარტო კახეთში კი არა, თბილისშიც ხშირად იმეორებდნენ და იცინოდნენ.

— შანშიაშვილის წისქვილსა და ზეთსახდელსაც სულ მალე აღვადგენთ და მწერლის მემორიალურ დაფასაც გავაკრავთ. ქუჩასაც ვუწოდებთ სანდროს სახელსო, — მითხრა ბატონმა ვალერიანმა.

— მერე? მზესუმზირა და ხორბალი რომ არა გაქვთ? — ვკითხე ზურაბ ბახტურიძეს, ფირმა „ქიაურის" დირექტორს.

— გვექნება. ჩვენ საზღვრისპირა სოფელი ვართ, აქედან ხელის გაწვდენაზეა საინგილო. მიწის პრივატიზაცია ჩვენთან სხვა ფორმით მოხდა, უფრო სწორად კი, ვიდრე მოველოდით, ქიაურელების თითოეული კომლის საკარმიდამოს ნახევარი ჰექტარი მიემატება, ჯერჯერობით საკმარისია. ჩვენ ხომ ნებაყოფლობით შექმნილი მრავალდარგოვანი, დამოუკიდებელი ფირმა ვართ. დამოუკიდებლობა კი ბევრ რამეს ნიშნავს — არც კოლმეურნეობა ვართ და არც არტელი, რასაც ვიფიქრებთ, ვაკეთებთ კიდეც, — გულდაჯერებით ამბობს ზურაბი, — ქიაურის ამ მადლიან მიწაზე, სასწაულების მოხდენა შეიძლება.

— დამოუკიდებლობაში რას გულისხმობთ?

— ყველაფერს. თითქმის ყოველმხრივ თავისუფალი ვართ, არავისზე ვართ დამოკიდებული,— ამბობს ვალერიანი, — გახსოვთ კომუნისტებისდროინდელი კოლმეურნეობის წესდება, გლეხკაცს ერთ ძროხაზე მეტი რომ არ უნდა ჰყოლოდა. აბა, ჩამოიარეთ ქიაური და ნახავთ, რომ არც ერთი მეკომური უძროხოდ არ არის დარჩენილი. ბევრს ორი-სამი ძროხა, კამეჩი, უამრავი თხა, ცხვარი ჰყავს; უწინ სასოფლო-სამეურნეო გადასახადით სულს გვხდიდნენ, ახლა არ ვიბეგრებით. საკარმიდამოში მოგვყავს ბოსტნეულ-ბაღჩეული, სიმინდი, გვყავს უამრავი ფრინველი — ქათამი, იხვი და სხვა. ასე რომ, პროდუქტები არ გვიჭირს. წისქვილის საქმეს მოვაგვარებთ და კახურ შოთებს შინაც გამოვაცხობთ.

— სოფელში ძირითადად მაინც რას საქმიანობთ?

— მივდევთ მეთამბაქოეობას, მეცხოველეობას, მემინდვრეობას, მეაბრეშუმეობას, ბიზნესს, — გვითხრა ფირმის მეთაურმა და განაგრძო, — 40 ჰექტარზე გვქონდა თამბაქოს პლანტაცია. 30 ტონას ველოდით, მაგრამ კახელმა აჭარლებმა ისე მოუარეს პლანტაციებს, რომ 80 ტონაზე მეტს გავყიდით. სამომავლოდ კი თადარიგს აქედანვე დავიჭერთ, გვინდა ბიზნესში ჩავერთოთ. შევიძენთ თამბაქოს საჭრელ მანქანას და სიგარეტის გასაკეთებელ დანადგარს, ჩვენვე გამოვუშვებთ პაპიროსს და გავყიდით.

სოფელი

ოთხასი სული მსხვილფეხა — ძროხა და კამეჩი გვყავს, გაისად ქიაურის მუხნარს გავასუფთავებთ, მოვუვლით და იქ ჩავდგამთ კომფორტულ ჯიხურს — სასაუზმე იქნება იქ, ძროხისა და კამეჩის მაწვნით გავუმასპინძლდებით არა მარტო სოფლისა და რაიონის მცხოვრებლებს, არამედ საქართველო-აზერბაიჯანის მაგისტრალით მოსარგებლე მგზავრებს.

გვყავს ათას სულზე მეტი ცხვარი, რომელიც იოლი მოსავლელია. ალაზნის ჭალისპირებში ვაზამთრებთ, ზაფხულობით კი ჩვენთან სულ ახლოს კავკასიონის მთის იალაღებზე აგვყავს, იქ გავაკეთებთ გუდის ყველს, იგი ხომ ისევე, როგორც მატყლი ძვირად ფასობს ბირჟაზე თუ კერძო ბაზარზე.

სოფლის ქუჩებსა და ცალკეულ ნაკვეთებზე, აგრეთვე საცხოვრებელი სახლების წინ, გამოუყენებელ მიწებზე ათასობით ძირი თუთის ნერგი დავრგეთ. ამან საშუალება მოგვცა ბევრი აბრეშუმის პარკი მიგვეყიდა სახელმწიფოსათვის, რამაც მილიონობით მანეთით გაამდიდრა ფირმის სალარო.

— სამომავლოდ რას აპირებთ?

— სოფლის მეურნეობაში რა პრობლემებიც გვაქვს, გითხარით. გარდა ამისა 11 ჰექტარი ტბორი გვაქვს. შარშან გაზაფხულზე იქ თევზის მოშენება დავიწყეთ და გაისად თევზეულსაც შევთავაზებთ მომხმარებელს. ფირმის სათბურში ამერიკელ სპეციალისტთან ჯეფრისთან ხელშეკრულების საფუძველზე, თამბაქოს იქაური ჯიშის „ვირჯინიის" ჯიშის ჩითილებს გამოვიყვანთ. თამბაქო დიდძალ შემოსავალს გვაძლევს. აქვე ზამთრობით ბოსტნეულსა და ყვავილებსაც მოვიყვანთ და გავყიდით. მეფრინველეობის ფაბრიკაც აღვადგინეთ, ქიაურის მუხნარს მოვუვლით და იქ ძველებურად საზამთროს ბაზარს გავხსნით. 50 ჰექტარზე დავთესავთ გაზაფხულზე მზესუმზირასა და გაისად შემოდგომაზე ზეთსახდელ საამქროში გამოშვებულ საკუთარი წარმოების ზეთსაც გავყიდით.

გვაქვს მოლაპარაკება თურქეთთან იმის თაობაზე, რომ ჩვენი სასმელი - წყალი ბოთლებში ჩამოვასხათ და გავყიდოთ. ჩვენ შევისყიდეთ თბილი თერმული გოგირდოვანი წყლის ბაზაზე მოწყობილი სამკურნალო სააბაზანო, სადაც მარილებით დაავადებულებსა და სახსრების სხვა სნეულებებს მკურნალობენ. შორეული პაციენტებისთვის სასტუმროსაც მოვაწყობთ. დაახლოებით ასეთი იქნება ჩვენი ფირმის საგაისო გეგმები. ახლაც საკმაოდ სოლიდური თანხა გვაქვს ბანკში და სამომავლოდ უფრო მეტი გვექნება. ასე რომ, ქიაურელებს კარგი პერსპექტივა გვესახება, — ამთავრებს საუბარს ზურაბ ბახტურიძე, — ჩვენ ჩვენი ტექნიკაც გვაქვს, რომლითაც საკარმიდამო მიწებსაც ვამუშავებთ.

— და ყოველივე ამის შემდეგ ქიაურს უფრო გავალამაზებთ, — კმაყოფილებით დასძენს ვალერიან აბაშიძე — სკოლა უკეთესი გვექნება, სოფელში 3000 ძირი კაკლის ნერგი გავახარეთ. როგორც აღვნიშნე, თუთის ნერგებს უფრო მეტს დავრგავთ. მალე გვექნება კარგი სპორტული კომპლექსი. ამ გაჭირვებაში ქუჩების მოპირკეთებაც დავიწყეთ, რადგან ზაფხულობით ჩვენთან მტვერი ფარავს ყველაფერს.

— ვალერიან, თქვენ აჭარლები, ქიაურში უსასყიდლოდ აშენებულ ორსართულიან სახლებში ცხოვრობთ. უშუალოდ ვინ აგიშენათ? როგორ ცხოვრობთ?

— გვარიანად ვცხოვრობთ. მე პირადად სოფელ შრომის კოლმეურნეობამ ამიშენა სახლი და როცა შევსახლდი, მაგიდა თავისი სკამებით, ხალიჩა და სხვა ნივთებიც დამხვდა. თანაც ახალმოსახლეობის აღსანიშნავი სუფრაც გაგვიწყეს. მადლობა შრომელებს და მათ ხელმძღვანელს ვანო ზავრაშვილს. კეთილი თვალითა და გულით მოძღვნილ კარმიდამოში კაი იღბალიც დაგვებედა. სამი ვაჟიშვილი და სამი ქალიშვილი მყავს. უფროსი ბიჭი უკვე საქორწილოა...

— აჭარიდან ახალმოსახლეთაგან პირველი ქორწილი ვინ გადაიხადა?

— სამმა ხოზრევანიძემ, მანანა ბოლოკიანში გათხოვდა, ამირანმა და ნოდარმა კი მომიჯნავე სოფლის მკვიდრი ქალიშვილები შეირთეს. მათ შვილებიც ეყოლათ.

გამრავლდით და იხარეთ ქიაურელებო!

ვახტანგ გოზალიშვილი.

იყიდება:
რადიოტელეფონი — Radio Clock International (იაპონია);
დიქტოფონი — Sanyo (სამხ. კორეა);
ყავის სერვიზი — Arcoroc (საფრანგეთი);
ვიდეოკასეტები — Sikise (იაპონია);
დეზოდორები — argesse Dallas Cobra (საფრანგეთი). 270 მლ;
დეზოდორები — Kuomo Léonierd, Calleani Raganza (ესპანეთი). 270 მლ.
ოდეკოლონები — Oskar de Madini, Nomber one de Madini (ესპანეთი);
მამაკაცის პერანგები — Charke Laurent, Azzaro (საფრანგეთი);
მამაკაცის პერანგები — Walter Wolf (გერმანია);
მამაკაცის მაღალყელიანი ფეხსაცმელები — Tejon (ესპანეთი);
თბილი ქურთუკები — NWK (ესპანეთი);
ჯინსები — Lewi Strauss (ესპანეთი);
ქალის მოსასხამები, პულოვერები, ფეხსაცმელები (ესპანეთი);

პარტია ნებისმიერი, მინიმალური რაოდენობა — 1 ც. 5 ცალის და მეტის მყიდველს 4 თვეში დაუბრუნდება გადახდილი თანხის 50 პროცენტი.
შუამავლები მიიღებენ საკომისიო გასამრჯელოს 10 პროცენტის ოდენობით.
ტელეფონი: 29-01-72
დარეკეთ შაბათ-კვირის გარდა, 9-დან 16 საათამდე.

თენგიზ ჩანტლაძის ოჯახი იუწყება, რომ გარდაიცვალა
თენგიზ ზაიოზის ძე ჩანტლაძე
პანაშვიდები 24, 25 დეკემბერს 15 სთ-ზე, დაკრძალვა 26 დეკემბერს 13 სთ-ზე. მისამართი უნანაძის 101. (ყოფილი კამოს ქ.).

მთავარი რედაქტორი ზურაბ ზოზიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, ვ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საკუთარი კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.
ტელეფონი — 34-78-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0466.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА

ინდექსი 66434